

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №16

02.10.2019

ქ. თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე, საბჭოს თავმჯდომარე;

თინათინ ბოჭორიშვილი - შპს - „საქართველოს უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;

ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;

რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;

აკაკი ხელაძე - შპს „საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის“ რექტორი;

ქეთევან ცხადაძე - შპს „თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის“ დეკანი, პროფესორი;

ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის ფაკულტეტის პროფესორი;

მარინა გედევანიშვილი - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;

ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები

გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;

პაატა იმნაძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე მეცნიერების დარგში;

ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფროსი;

ამირან გამყრელიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი;

შოთა ცანავა - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, მედიცინის დოქტორი;

ნინო კველიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის ექიმი - ონკოგინეკოლოგი;
მერაბ ზუაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბავშვთა ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი;
დიმიტრი კორძაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
ივანე ჩხაიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, პედიატრიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს "მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს" სამედიცინო დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
დავით გაგუა - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი;
გია ნემსაძე - მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, შპს "კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის" დამფუძნებელი;
ანა კაკაბაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
სოფიო ვასაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
თეონა ჟუჟუნაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი;
დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
ეკატერინე აზარაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, (კანცლერი);
კახი ყურაშვილი - ხარისხის კულტურის კომიტეტის წევრი;
გაგა გაბრიჩიძე - სამართლის სკოლის დეკანი;
შორენა ჭუმბურიძე - მედიცინის სკოლის დეკანი;
ხათუნა საგანელიძე - მედიცინის სკოლის პროფესორი;
ზურაბ ცეცხლაძე - მედიცინის სკოლის პროფესორი, კვლევითი დეპარტამენტის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი:

ნათელა წიკლაშვილი - რექტორის მოადგილე;
ირაკლი კორძაია - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მ/შ;
ირაკლი გორგილაძე - სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

მაია ბიწკინაშვილი;

მაია შიშნიაშვილი;
ვახტანგ თებიძე.

სხვა დამსწრე პირები:

ანა წამალაშვილი - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:47 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელო საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 23-ე მუხლის 1¹ პუნქტის საფუძველზე, სხდომას ასევე ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს მუდმივი წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და საბჭოს მოწვეული წევრების 3/4.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ იყო წარმოდგენილი შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარმოდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭოს წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს სხდომის წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ გააკეთა განმარტება, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვერ ახერხებდა სკაიპის საშუალებით სხდომაზე ჩართვას. მან აღნიშნა, რომ სკაიპის საშუალებით საბჭოს სხდომაზე ჩაერთვებოდა ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარე, პროფესორი ივანა ოზორნა.

ივანა ოზორნა სკაიპის საშუალებით მიესალმა სხდომაზე დამსწრე პირებს და გააცნო საკუთარი თავი. მან განმარტა, რომ ის არის პროფესორი გინეკოლოგიის მიმართულებით, ჩეხეთიდან. ივანა ოზორნამ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაკეთებული შეფასების მიხედვით, ინსტიტუცია სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის მე-5 სტანდარტთან, მეტწილ შესაბამისობაშია პირველ, მე-2, მე-3, მე-4 და მე-6 სტანდარტებთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია მე-7 სტანდარტთან.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ დასძინა, რომ დასკვნაში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციების ძალიან მოცულობითი სია და რომ ის ძირითადად შეეხებოდა იმ საკითხებს, რომლებშიც დაწესებულებას დაუდგინდა ნაწილობრივი შესაბამისობა.

უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებასთან დაკავშირებით (1.2 სტანდარტის კომპონენტი) თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. ასევე, თანათავმჯდომარის განმარტებით, ის აქტივობები, რომლებიც მოცემული იყო სამოქმედო გეგმაში მოკლებული იყო კონკრეტიკას. ასევე, სამოქმედო გეგმაში არ იყო მითითებული აქტივობების განსახორციელებლად კონკრეტული ვადები, რაც სტანდარტით იყო გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარის განცხადებით, ინტერვიუების პროცესში გამოვლინდა, რომ პასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულებმა არ იცოდნენ მათზე დაკისრებული შესასრულებელი დავალებების შესახებ. გარდა ამისა, აღსანიშნავი იყო ისიც, რომ სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობები არ იყო დაკავშირებული ფინანსურ რესურსებთან. ინტერვიუების დროს წარმოდგენილი პირების უმრავლესობამ ვერ შეძლო აეხსნა ბიუჯეტის პროცესი. ივანა ოზორნამ ასევე აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში მხოლოდ დაწესებულების კანცლერი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე იყვნენ კომპეტენტურები ბიუჯეტის პროცესთან დაკავშირებით. მან, ასევე, აღნიშნა, რომ დასკვნაში ასახული რეკომენდაციები ძირითადად სწორედ ამ საკითხებს ეხებოდა.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება შეფასებული იყო როგორც ნაწილობრივად შესაბამისი 2.1 სტანდარტის კომპონენტთან (უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა). ივანა ოზორნამ განმარტა, რომ ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ყველა სტრუქტურული ერთეულის პასუხისმგებლობები დელეგირებული იყო სტრუქტურის ზემდგომ ორგანოზე - აკადემიურ საბჭოზე (ე.წ. სტრუქტურის bottom-up პრინციპით), სტრუქტურული ერთეულები ექვემდებარებოდა ერთ ადმინისტრაციულ პირს, კერძოდ, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს. ივანა ოზორნამ აღნიშნა, რომ სწორედ ამიტომ გაიცა რეკომენდაცია, რომ გადახედილიყო სტრუქტურა და სხვა ერთეულებიც აქტიურად

J. P. M.

ყოფილიყვნენ ჩართულნი უნივერსიტეტის მართვის პროცესში, რათა ინსტიტუციის სტანდარტთან შესაბამისობის ხარისხი გამხდარიყო უფრო მაღალი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ თავისთავად „bottom-up სტრუქტურა“ მართვის დადებითი ფორმა იყო და თანათავმჯდომარის მიერ განხილულ იქნა უარყოფით კონტექსტში. დავით კერესელიძემ თანათავმჯდომარეს მიმართა კითხვით, თუ რაზე დაყრდნობით მსჯელობდა ის სტრუქტურასთან მიმართებით. მას აინტერესებდა დაწესებულების ოფიციალური სტრუქტურის მიხედვით მსჯელობდა, თუ მას ეს შთაბეჭდილება შეექმნა უშუალოდ ვიზიტის დროს ინტერვიუების შედეგად. დაწესებულების ხელმძღვანელმა, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ ინსტიტუციის ოფიციალური სტრუქტურა იყო ძალიან ბრტყელი და აღნიშნა, რომ ასეთი სტრუქტურა პირიქით, ძალიან დემოკრატიული იყო. მან ასევე აღნიშნა, რომ გამოთქმული იყო მოსაზრება, ორგანიზაციულ სტრუქტურაში გარკვეული იერარქიის შემოტანის შესახებ, ამიტომ მას სურდა, რომ დაეზუსტებინა თანათავმჯდომარეს, თუ რას გულისხმობდა bottom-up მიდგომა სტრუქტურასთან მიმართებაში.

თანათავმჯდომარემ, ივანა ოზორნამ დასმულ კითხვასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ასეთი შთაბეჭდილება ეფუძნებოდა ინტერვიუების შედეგებს, მან ასევე აღნიშნა, რომ საჭირო იყო უფლებების გადანაწილება და დელეგირება სხვა პირებზე. მან დასძინა, რომ იგი გააგრძელებდა სხვა იმ პრობლემატური საკითხების მიმოხილავს, რომელიც მოცემული იყო დასკვნაში.

ივანა ოზორნამ განმარტა, რომ ინსტიტუცია მე-4 სტანდარტის 4.2 კომპონენტთან მიმართებით შეფასებული იყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისი. აღნიშნულ საკითხზე მან საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა ინსტიტუციის დონეზე იყო 1/7, რაც იყო მისაღები. ასევე, აფილირებული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან მიმართებით იყო 1/23, რაზეც აღნიშნა, რომ ასევე მისაღები თანაფარდობა იყო, ინსტიტუციის დონეზე. თანათავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნია დატვირთვის სქემა, რომელშიც შედიოდა პერსონალის არამარტო საკონტაქტო საათები, არამედ სამეცნიერო, გამომცემლობითი და სხვა აქტივობებიც. მან აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვისასთან მიმართებაში იყო ერთი პრობლემა, რომელიც უკავშირდებოდა მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამას. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტს უფრო დეტალურად მიმოეხილა პერსონალის დატვირთვის სქემასთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი მხარეები.

თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამაზე, რადგან დაწესებულება ძირითადად ორიენტირებული იყო მედიცინის პროგრამაზე და დაწესებულებაში სტუდენტების 86% სწავლობდა მედიცინის პროგრამაზე, ხოლო აქედან კი 83% იყო საერთაშორისო სტუდენტი, თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი იყო ექსპერტები დარწმუნებულიყვნენ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე სასწავლო პროცესის ხარისხიანად განხორციელების შესაძლებლობაში. აღნიშნულ მოსაზრებასთან დაკავშირებით, ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა თანათავმჯდომარეს, რომ თუკი დაწესებულებაში არსებული სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა ექსპერტთა ჯგუფისთვის იყო მისაღები და ასევე თუ აფილირებული პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობაც მისაღები იყო, რატომ შეფასდა დაწესებულება 4.2 სტანდარტის კომპონენტთან ნაწილობრივ შესაბამისობაში და არა როგორც სრულად შესაბამისობაში. საბჭოს თავმჯდომარემ ასევე იკითხა, თუ რატომ გამახვილდა ყურადღება მხოლოდ მედიცინის საგანმანათლებლო

პროგრამაზე, ვინაიდან საბჭო განიხილავდა დაწესებულების ავტორიზაციას, რომელიც ახორციელებდა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებსაც. თანათავმჯდომარემ, ივანა ობორნამ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით, მნიშვნელოვანი იყო უზრუნველყოფა იმისა, რომ ყოველი სასწავლო კურსი განახორციელებულიყო კომპეტენტური აკადემიური პერსონალის მიერ, მან ასევე აღნიშნა რომ მნიშვნელოვანი იყო სტუდენტებისა და პერსონალის თანაფარდობა ყოფილიყო მისაღები თითოეული პროგრამის შემთხვევაში და არა მხოლოდ უნივერსიტეტის დონეზე, მან მოიყვანა მაგალითი, რომ თუ ინსტიტუციას აქვს საგანმანათლებლო პროგრამა, რომელზეც სწავლობს 1000 სტუდენტი და დაწესებულებას ჰყავს 20 ლექტორი, ხოლო მეორე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული ყავს 40 ლექტორი და 20 სტუდენტი, ამ შემთხვევაში, ინსტიტუციის დონეზე სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანაფარდობა შესაძლოა მისაღები იყოს, მაგრამ ეს თანაფარდობა ვერ იქნება მისაღები ცალკეული პროგრამის შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ ეს იყო ძირითადი მიზეზი დაწესებულების შესაბამისობის ასეთი შეფასებისა 4.2 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების რაოდენობასთან პოზიტიურად იყო შეფასებული, შესაბამისად, როდესაც დაწესებულება შეფასდა ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტთან, ამ დროს ექსპერტებს უნდა ჰქონოდათ მკვეთრი არგუმენტები, თუ რატომ წერენ ამგვარ შეფასებას, მან მიმართა თანათავმჯდომარეს, რომ არგუმენტებით გაემყარებინა მის მიერ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში აღნიშნული საკითხი, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე არ იყო საკმარისი პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, ივანა ობორნამ განმარტა, რომ მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა იყო 63/1, რაც ნიშნავდა რომ 63 სტუდენტზე მოდიოდა ერთი აკადემიური პერსონალის წევრი და ეს იწვევდა აკადემიური პერსონალის დიდ დატვირთვას. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა თანათავმჯდომარეს, თუ როგორ იქნა გამოთვლილი ეს თანაფარდობა. თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დასკვნაში აღწერილი იყო როგორ მოხდა ამის დათვლა, ანუ, თუ 1600 სტუდენტს შევაფარდებდით 92 პერსონალის წევრთან, მაშინ თანაფარდობა იქნებოდა 16/1, მაგრამ მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ნახა პერსონალის დატვირთვის სქემა ერთი კონკრეტული სემესტრის განმავლობაში და დადგინდა, რომ მედიცინის პროგრამის სტუდენტებისა და ამავე პროგრამაში ჩართული პერსონალის თანაფარდობა ერთი სემესტრის განმავლობაში იყო 63/1, რაც ნიშნავდა რომ პერსონალის დატვირთვა ამ სემესტრში იყო ძალიან მაღალი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილ დატვირთვის სქემაში აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის 1/16 თანაფარდობა ფიქსირდებოდა, მაგრამ აქ ინსტიტუციას გათვალისწინებული ქონდა პერსონალის მხოლოდ სალექციო დატვირთვა, ანუ, მხოლოდ ის დრო, რასაც ისინი ხარჯავდნენ ლექციების წაკითხვისას. ექსპერტმა ასევე დაამატა, რომ ცნობილი იყო, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა მხოლოდ სწავლებას არ მოიცავდა, და რომ დატვირთვის სქემაში გასათვალისწინებელი იყო სხვადასხვა აქტივობები - ადმინისტრაციული, სასწავლო, კვლევითი, საგამომცემლო დატვირთვა და ა.შ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ თუკი, ჩაითვლებოდა, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვა მხოლოდ ლექციების ჩატარებას გულისხმობდა, ამ შემთხვევაში თანაფარდობა იქნებოდა 1/16, ანუ, ერთ პროფესორზე 16 სტუდენტი, მაგრამ რადგან პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებული უნდა იყოს ლექციების ჩატარების

გარდა სხვა აქტივობებიც, ექსპერტთა ჯგუფმა ეს გაითვალისწინა და მიღებული თანაფარდობა გამოვიდა დაახლოებით 1/60, ანუ დაახლოებით სამოც სტუდენტზე ერთი ლექტორი. აღნიშნულთან დაკავშირებით, უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ დააფიქსირა, რომ არასწორად იქნა ნათარგმნი ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომრის მიერ დასახელებული თანაფარდობა 1/16 (one/sixteen), როგორც 1/60 (one/sixty), რაც კიდევ ერთხელ გადამოწმდა თანათავმჯდომარესთან, რომელმაც აღნიშნა, რომ ყველა აქტივობის გათვალისწინებით, სტუდენტებსა და პერსონალს შორის თანაფარდობა იყო დაახლოებით 1/60, ხოლო საკოტაქტო საათების გათვალისწინებით კი 1/16.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ ისაუბრა ასევე 6.2 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჩატარებული ქონდა გარკვეული კვლევები, რაც ნამდვილად მისასალმებელი იყო, თუმცა მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ არსებობდა კვლევის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ მე-7 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არ არსებობდა ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა. დაწესებულება არ იყენებდა სასწვლო პროცესების მართვის ელექტრონულ სისტემებს და გამოყენებული იყო მხოლოდ Google-ის პლატფორმა.

თანათავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება ფინანსური რესურსების ნაწილში შეფასებული იყო, როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაში სტანდარტთან, რადგან ბიუჯეტირების პროცესი არ იყო გამჭვირვალე, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლებს არ გააჩნდათ სრული ინფორმაცია ფინანსური პროცესების შესახებ. თანათავმჯდომარის მოსაზრებით, დაწესებულებაში არ არსებობდა პასუხისმგებელი პირი - ფინანსური დირექტორი, რომელიც პასუხისმგებელი იქნებოდა ბიუჯეტის მონიტორინგსა და შესრულებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას გაწერილი არ ჰქონდა ფინანსური პოლიტიკა და არ იყო ფინანსური ანგარიშგების სისტემა.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარეს, ივანა ობორნას, რომ დაეზუსტებინა თუ რომელ ელექტრონულ სისტემებს იყენებდა დაწესებულება. ივანა ობორნამ კიდევ ერთხელ დააზუსტა, რომ უნივერსიტეტი იყენებს Google-ის სისტემას. Google-ის სერვისებთან დაკავშირებით, თანათავმჯდომარემ დაამატა, რომ აღნიშნული მიდგომა არ იყო უსაფრთხო საინფორმაციო ტექნოლოგიების თვალსაზრისით. მან ასევე დასძინა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე პროფესორი სოკრატისი იყო გამოცდილი ტექნოლოგიების მართვის მიმართულებით, ის უკეთესად იმსჯელებდა საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების უსაფრთხოების საკითხებზე და დაწესებულებაში არსებულ რისკ ფაქტორებზე. ამ საკითხებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა თანათავმჯდომარეს მიმართეს, დაეკონკრეტებინა თუ რა რისკებს გულისხმობდა ის. ივანა ობორნამ დააზუსტა, რომ არ არსებობდა საინფორმაციო ტექნოლოგიების ცხადი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფდა, ინფორმაციის დაცულობას. ამ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ თუკი ელექტრონულ სისტემებს არ იყენებდა დაწესებულება, რით იყო განპირობებული ამ ელექტრონული სისტემების დაცულობის საჭიროება, რაზეც საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დეტალურად გაივლიდნენ ყველა სტანდარტს, საერთაშორისო ექსპერტის მოხსენების შემდგომ.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, ივანა ობორნამ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებაში ვიზიტი ძალიან კარგი გამოცდილება იყო ექსპერტთა ჯგუფისთვის და აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს საკმაოდ ენთუზიაზმით აღსავსე აკადემიური პერსონალი დახვდათ ექსპერტებს, მან ასევე იმედი გამოთქვა, რომ არსებული რეკომენდაციები დაეხმარებოდა დაწესებულებას სამომავლო განვითარებაში.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, ექსპერტებს, რომ თანათავმჯდომარის ჩართვის შემდგომ საბჭოს მუშაობა გაეგრძელებინა თითოეული სტანდარტის დეტალური მიმოხილვით და სიტყვა გადასცა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენ წევრებს. ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინეს ადგილობრივმა ექსპერტებმა:

- მისიის განაცხადში, მკაფიოდ განსაზღვრეთ უსდ-ს მახასიათებლები მის ტიპსა და პროფილზე დაყრდნობით. განსაზღვრეთ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, მათ შორის მენეჯმენტისა და პერსონალის როლი დაგეგმვის პროცესში. განსაზღვრეთ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მექანიზმი. განსაზღვრეთ კონკრეტული, გაზომვადი, ვადებში გაწერილი ამოცანები და აქტივობები. განსაზღვრეთ გაზომვადი მაჩვენებლები. განსაზღვრეთ თითოეული აქტივობის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსები. პასუხისმგებლობები გაუნაწილეთ კონკრეტულ ორგანიზაციულ ერთეულებს.
- გახადეთ ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურა უფრო მეტად ფორმალური.
- მკაფიოდ განსაზღვრეთ ორგანიზაციული ერთეულების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების საზღვრები, როლები და დავალებები და დააკვირდით მათ უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში.
- გადახედეთ „საერთაშორისო ოფისის“ მანდატს, რათა შეესატყვისებოდეს მის რეალურ ფუნქციას, რაც საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირებას გულისხმობს.
- ხარისხის კულტურის კომიტეტმა უნდა შემუშაოს შეფასების ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივობების/პროცედურების კონკრეტული ნაბიჯები.
- დანერგეთ აკადემიური, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პერსონალის მუშაობის შეფასების ყოვლისმომცველი სისტემა.
- შესაბამისი პერსონალის გადამზადების სისტემა წინასწარ უნდა შემუშავდეს მათთვის, ვინც ჩართულია სწავლებისა და შეფასების ინოვაციურ მეთოდებში (მაგალითად PBL, OSCE).
- მკაფიო გახადეთ კავშირი სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიასა და სტუდენტთა.
- ყველა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების და გაუქმებისთვის, გასაგებად აღწერეთ პროცესი და პროცედურები, მათ შორის ვადები და ჩართული დაინტერესებული პირები. შეხვედრის დღის წესრიგები ხელმისაწვდომი უნდა იყოს წინასწარ და შეხვედრის ოქმებსა და დასკვნებზე წვდომა უნდა ჰქონდეთ ჩართულ პირებს.
- გაზარდეთ და ოფიციალური გახადეთ სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და დამსაქმებლების ჩართულობა პროგრამის შემუშავებასა და განვითარებაში, ასევე სწავლის შედეგების ფორმულირებაში.
- მედიცინის საერთაშორისო სამედიცინო პროგრამაში, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა საერთაშორისო პროგრამაში, სადაც პაციენტებთან კონტაქტია საჭირო, ქართული ენა ვერ იქნება არჩევითი საგანი.
- ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაში ნებისმიერი ცვლილება უნდა განხორციელდეს ყველა დაინტერესებული მხარის (მასწავლებლების, მეცნიერების,

პროფესიონალების და ადმინისტრაციული პერსონალის) ინგლისურის სრულყოფილად ცოდნის უნარის გათვალისწინებით.

- თანამედროვე ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევა უნდა ჩატარდეს არსებულ და დაგეგმილ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უნდა დანერგოს იმ ინგლისურენოვანი პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შემოწმებისა და დამტკიცების სისტემა, რომელთა კურიკულუმის განუყოფელ ნაწილსაც წარმოადგენს კონტაქტი ადგილობრივ მოსახლეობასთან (პაციენტებთან), კერძოდ კი მედიცინის სადოქტორო პროგრამაში.
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა ხელმძღვანელობდეს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების/შემუშავებისა და განხორციელების პროცესს, რათა უზრუნველყოს მათი შინაარსის შესაბამისობა სწავლის შედეგებთან და ასევე განათლების ხარისხი პროგრამების ყველა ეტაპზე. კლინიკური სწავლების დროს აღწერილი სიტუაცია (მხოლოდ ერთი ინგლისურ ენაზე მოსაუბრე დამხმარე მასწავლებელია ხელმისაწვდომი კონკრეტულ დეპარტამენტში კლინიკური სწავლების/პაციენტის საწოლთან სწავლების დროს) მიუღებელია და პირდაპირ ეწინააღმდეგება WFME BME სტანდარტებს, და ავლენს შეუსაბამობებს თეორიასა (წერილობით მასალა) და პრაქტიკას შორის, ამჟამინდელ ხარისხის უზრუნველყოფაში.
- სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა უნდა აღირიცხოს სწავლების თითოეული ტექნიკისთვის ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში (მაგალითად, მცირე ჯგუფში დისკუსია, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება PBL, სწავლება პაციენტის საწოლთან).
- სიფრთხილით განიხილეთ მიღებული სტუდენტების რაოდენობა, მატერიალურ-ტექნიკური/კეთილმოწყობისა და აკადემიური პერსონალის გათვალისწინებით.
- გაამახვილეთ ყურადღება მედიცინის სადოქტორო პროგრამის გარდა სხვა პროგრამების ხელშეწყობაზე.
- მედიცინის სადოქტორო პროგრამაზე ნუ გაზრდით სტუდენტების რაოდენობას და მაღალი შერჩევითობით მიიღეთ გადაწყვეტილება გადმოსული სტუდენტების მიღებასთან დაკავშირებით.
- მედიცინის სადოქტორო პროგრამაში უნდა დაინერგოს მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს გაწერილი სწავლის შედეგებსა და რეალურ პრაქტიკას შორის შესაბამისობას.
- გარდამავალი სემესტრების შემდეგ, უნდა ჩატარდეს სამედიცინო პროგრამაზე გადმოსული სტუდენტების ჩართულობის სიდრმისეული ანალიზი, რათა დადასტურდეს მათი აკადემიური მზაობა და გამოვლინდეს მათი შემდგომი საჭიროებები.
- ხარისხის კულტურის კომიტეტმა უნდა შეიმუშაოს შეფასების ხარისხის უზრუნველყოფისთვის საჭირო აქტივობების/პროცედურების კონკრეტული ნაბიჯები.
- შეადგინეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრატეგია პერსონალის განვითარებისთვის, მათ შორის ადმინისტრაციული პერსონალისთვისაც.
- შექმენით ადმინისტრაციული ერთეული პერსონალის მართვისთვის.
- დააწესეთ სამიზნე მაჩვენებელი ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შენარჩუნების კოეფიციენტისთვის და ჩამოაყალიბეთ პოლიტიკები მის აქტიურად მისაღწევად.
- დააწესეთ გაუმჯობესებული სამიზნე მაჩვენებელი აფილირებული პერსონალის თანაფარდობისა პერსონალის საერთო რაოდენობასთან, შეიმუშავეთ პოლიტიკა ამ სამიზნე ნიშნულების მისაღწევად.
- გამოიყენეთ სრული განაკვეთის ექვივალენტი (FTE) ნახევარ განაკვეთზე მომუშავე და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვის გასაზომად, ასევე აფილირებული პერსონალის სასწავლო სამუშაო დატვირთვის გასაზომად.
- სწავლების თითოეული მეთოდისთვის (მაგალითად, PBL, სწავლება პაციენტის საწოლთან) გაზომეთ სტუდენტი/მასწავლებლის თანაფარდობა და დაიცავით უკვე არსებული წესები.

- მედიცინის სადოქტორო პროგრამისთვის - 2018 წლის შემოდგომის სემესტრისთვის ზოგადად ჩატარებული მსგავსი, მაგრამ უფრო სიღრმისეული ანალიზი უნდა განხორციელდეს ინდივიდუალურად თითოეული სასწავლო წლისთვის, რამდენიმე სემესტრის განმავლობაში, რათა გამოვლინდეს მთავარი ხარვეზები და მივიღოთ ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად.
 - გააუმჯობესეთ სტუდენტებთან კომუნიკაცია, რათა უზრუნველყოთ სტუდენტებისთვის მათ მიერ მოთხოვნილი ადმინისტრაციული ინფორმაციის დროული მიწოდება.
 - პრაქტიკაში განახორციელეთ ახალი და დაგეგმილი გაცვლითი პროგრამები იმ მიზნით, რომ გაიზარდოს გაცვლით პროგრამებსა და საერთაშორისო აქტივობებში (კონფერენციები, კურსები, ვორკშოპები) მონაწილე სტუდენტების რაოდენობა.
 - შეიმუშავეთ კვლევის სტრატეგია იმ მიზნით, რომ შექმნათ მხარდასაჭერი საკვლევო სფეროების პრიორიტეტული სია.
 - გადახედეთ სამართლის, პოლიტიკისა და დიპლომატიის სკოლებთან ასოცირებული კვლევითი ცენტრების ფუნქციონირების გაგრძელების საკითხს, იქ არსებული თანამშრომლების ნაკლებობის გამო.
 - მოიცავით კვლევითი აქტივობებისთვის გათვალისწინებული რესურსები, შეუსაბამეთ კვლევითი სტრატეგიის პრიორიტეტებს, სტრატეგიულ გეგმასა და სამოქმედო გეგმებში.
 - გააფართოვეთ კვლევითი სამსახურის მანდატი, რათა მოიცავდეს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გარედან დაფინანსებული კვლევითი პროექტებისადმი, სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებულ კონსულტაციებს, კვლევის შედეგების გამოყენების პოტენციალის შეფასებას, ბიუჯეტის პროექტის შექმნას.
 - შეიმუშავეთ გეგმა კვლევითი სამსახურის ეფექტურობის გაზრდის მიზნით.
 - გაზარდეთ კვლევითი სამსახურის პერსონალის რაოდენობა.
 - ჩამოაყალიბეთ სტრატეგია და მხარდაჭერი პოლიტიკა კვლევით საქმიანობაში ახალი პერსონალის მოსაზიდად და მხარდასაჭერად.
 - გადააფასეთ კვლევით პარტნიორებს შორის დამკვიდრებული ურთიერთობები და მიიღეთ სტრატეგიული გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, თუ რომელი შეინარჩუნოთ და გააძლიეროთ.
 - შეიმუშავეთ გეგმა საერთაშორისო პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივი პროგრამებისა და სადოქტორო ნაშრომების ერთობლივი ხელმძღვანელობისთვის (cotutelle).
 - რეგულარულად გამოაქვეყნეთ ანგარიშები კვლევითი საქმიანობის შესახებ.
 - მოაწყვეთ სივრცე პროფესორთა ოფისებისთვის.
 - უზრუნველყავით ელექტრონული მონაცემთა ბაზების ადეკვატური მოხმარება.
 - გააუმჯობესეთ საბიბლიოთეკო რესურსების დაგეგმვის პროცესი.
 - შეიმუშავეთ IT პოლიტიკა.
 - შეაფასეთ IT რისკები.
 - შეიმუშავეთ ზემოთ აღწერილი კომპიუტერული პროგრამა.
 - გააუმჯობესეთ ბიუჯეტირების პროცესი; ბიუჯეტირების პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და თანამონაწილეობითი.
 - სამოქმედო გეგმაში დააკავშირეთ დანახარჯების ხაზი და სამოქმედო გეგმის აქტივობები.
 - აღწერეთ და ამოქმედეთ ბიუჯეტის მონიტორინგის პროცედურები.
 - შეიმუშავეთ ფინანსური პოლიტიკა.
 - შეიმუშავეთ ფინანსური ანალიზისა და ანგარიშების სისტემა.
- ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს

ავტორიზაციის ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა მიმოიხილა პირველი სტანდარტი, რომელიც როგორც მან განმარტა ორი ნაწილისგან შედგებოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას

ჰქონდა ჩამოყალიბებული ის რაც უნდა ყოფილიყო გაწერილი მისიაში, თუმცა, ექსპერტმა აღნიშნა, რომ მისიის განაცხადი ვერ ასახავდა უნივერსიტეტის პროფილს და უნიკალურ მახასიათებლებს, რაც მას გამოარჩევდა სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისაგან.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, მან აღნიშნა, რომ მისია იწყება ასეთი წინადადებით: „უნივერსიტეტის მისიაა, ინდივიდის თვალსაწიერის გაფართოება განათლების, კვლევისა და სიახლის დანერგვის ხელშეწყობით.“ მას სურდა, რომ დაწესებულებას განემარტა, თუ რას გულისმობდნენ ისინი ამ ფრაზაში.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მე-20 საუკუნეში ევროკავშირის საგანმანათლებლო სისტემა განვითარდა მიმართულებით, რომელიც აერთიანებს სამ მიმართულებას: სწავლება, კვლევა და სიახლის დანერგვა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას არ აქვს პრეტენზია, რომ ის სიახლეს ნერგავს, არამედ ხელს უწყობს სიახლის დანერგვას, როდესაც საუბარი მიდის სამოქალაქო, იგივე „civic“ - საზოგადოებრივი უნივერსიტეტის კონცეფციაზე. დავით კერესელიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტის პროფილი სწორედ ამ კონცეფციაში გამოიხატებოდა. მისი განმარტებით, უნივერსიტეტი იყო მზრუნველი უნივერსიტეტი, რომელიც გარემოსა და ადამიანზე ზრუნავდა. მან დასძინა, რომ უნივერსიტეტის სოციალური პასუხისმგებლობა ნიშნავდა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას ყველა ადამიანისათვის. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ LSE-ყავს 75% უცხოელი სტუდენტები, ნიუ ვიქენში“ სტუდენტების 83% იყო საერთაშორისო სტუდენტი, შესაბამისად, დღეს ის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მეტად გლობალური უნივერსიტეტი იყო, რაც ასევე, გაწერილია მისიაში. მან აღნიშნა, რომ როდესაც ისმის კითხვა როგორია ნიუ ვიქენის უნივერსიტეტი, ესაა „civic,“ მზრუნველი, გლობალური უნივერსიტეტი.

საბჭოს წევრმა, რიმა ბერიაშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ როგორი ხედვა ჰქონდათ სოციალურ სერვისის მედიცინის თვალსაზრისით და მათი აზრით, ასეთი დიდი რაოდენობის საერთაშორისო სტუდენტების პირობებში როგორ შეიძლებოდა პროგრამების ხარისხიანად განხორციელება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ ეს ყველაფერი დასკვნაში იყო აღნიშნული. მან დასძინა, რომ ამის საუკეთესო მაგალითი იყო საზოგადოების დაკვეთით განხორციელებული კვლევები. მან მოიყვანა კონკრეტული მაგალითი, როდესაც დოქტორანტების ნაშრომები სამართალსა და მედიცინაში ეძღვნებოდა იმ პრობლემატური საკითხების კვლევას, რომელიც უნივერსიტეტს დაუკვეთა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ. ამ ნაშრომებში მოცემული საკვლევი საკითხები და პრობლემატიკა ეხებოდა 23 გაუკონტროლებელ სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც ფინანსდებოდა სამინისტროს მიერ. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ეს ნაშრომები არ იყო დაწერილი მხოლოდ კვალიფიკაციის მისაღებად, არამედ ამ კვლევების მიზანი იყო საზოგადოების კონკრეტული წევრებისათვის მტკივნეული საკითხის მოგვარება. ასევე, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ მიმდინარე სემესტრში მიდის უნივერსიტეტში მუშაობა, რომ უცხოელების ჩართულობის მოხდეს სისხლის უანგარო დონაციის პროექტში. მან დასძინა, რომ 2020 წლიდან მსოფლიო გადადის უანგაროსდ სისხლის დონაციაზე და ნიუ ვიქენ უნივერსიტეტი ჩართულია ამ კონვენციაში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მიმდინარეობდა საუბრები და კვლევა იმის შესახებ, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ სისხლის უანგარო დონაცია შევძლოთ სხვა ქვეყნების წარმატებული

მაგალითების გათვალისწინებით. მან მაგალითად მოიყვანა სკანდინავიის ქვეყნების გამოცდილება, როდესაც დონაციის შემდეგ კონტრიბუტორ ადამიანს მისდის სმს შეტყობინება, რომ ადამიანის სიცოცხლე გადაარჩინა, ასევე, არის სხვადასხვაგვარი წახალისებები და ბენეფიტები ადამიანისთვის ვინც სისხლს გაიღებს. მან აღნიშნა, რომ ამ პროექტზე მათ იმუშავეს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ ექსპერტებს სთხოვა მიმოეხილათ შემდეგი ქვესტანდარტი, კერძოდ, სტრატეგიული განვითარება. ექსპერტმა, მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას გააჩნდა 2017-2020 წლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, თუმცა გეგმაში არ ჩანდა კონკრეტული აქტივობები. ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას უნდა სცოდნოდა ზუსტად, თუ რა შედეგს ელოდა იმ პირებისგან ვინც იყვნენ პასუხისმგებლები გაწერილ აქტივობებზე. მან ასევე აღნიშნა, რომ საჭირო იყო აქტივობების ზუსტად ჩამოყალიბება და მათი შესრულების ინდიკატორების დახვეწა. მაგალითად, მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმაში დაწესებულების მიერ დასახელებული ერთ-ერთი მისაღწევი შედეგი იყო უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შეხახებ ცნობიერების ამაღლება. მან აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში, ზუსტად უნდა ყოფილიყო მითითებული, თუ როგორ აპირებდა დაწესებულება უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლების გაზომვას, რა კრიტერიუმებს გამოიყენებდა შესაბამისად, ექსპერტმა განმარტა, რომ საჭირო იყო ჯერ საბაზისო დონის გაზომვა და შემდეგ კი, მიღწეული შედეგის გაზომვა. შესაბამისად, სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული შედეგები უნდა ყოფილიყო გაზომვადი და გაწერილი დათვლადი ინდიკატორებით. ასევე, ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა საბჭოს თავმჯდომარის, მარიამ დარბაიძის თხოვნით მოიყვანა მეორე მაგალითი, რომელიც მისი აზრით საჭიროებდა კონკრეტიკას - საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაცია. ექსპერტმა განმარტა, რომ საჭირო იყო მითითება, თუ რომელი პროგრამების საერთაშორისო აკრედიტაციაზე იყო საუბარი და ასევე, უნდა გამოჩენილიყო, თუ რამდენი პროგრამის აკრედიტაცია იგეგმებოდა.

დაწესებულების კანცლერმა, ეკატერინე აზარაშვილმა განმარტა, რომ სამოქმედო გეგმაში არის მითითებული კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა მოიყვანა კიდევ ერთი აქტივობის მაგალითი - უნივერსიტეტის გამომცემლობა, სადაც არ ჩანდა ასევე კონკრეტიკა. მან განმარტა, რომ მაგალითად, თუკი კონკრეტულ პირს დაავალეს ამ აქტივობის უზრუნველყოფა, მხოლოდ ამ აქტივობის ჩანაწერით გაუგებარია რაზეა პასუხისმგებელი ეს პირი, მან უნდა გახსნას გამომცემლობა, გამომცემლობა უკვე შექმნილია და უბრალოდ უნდა განავითაროს, ა.შ. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ აქტივობაში წერია - უნივერსიტეტის გამომცემლობა, ვადაში აღნიშნულია მიმდინარე, ინდიკატორში კი მითითებულია საქართველოს კანონის მიმოხილვა და არ ჩანს რომელ კანონზეა საუბარი და ასევე, არ არის დაკონკრეტებული რამდენი ბიუჯეტი გამოიყოფა ამ ყველაფრისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტს, რომ საბჭოს წევრები ძალიან დეტალურად იცნობენ სტანდარტის შინაარსს და მათი განმარტება არ წარმოადგენდა აუცილებლობას.

მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ სტრატეგიის მონიტორინგის მექანიზმებთან დაკავშირებით უნდა არსებულიყო დოკუმენტი, რომელშიც აღწერილი იქნებოდა, თუ როგორ ხდებოდა მიზნების შესრულების მონიტორინგი. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტს დეტალურად უნდა ჰქონოდა წარმოდგენილი პროცესების მონიტორინგის მექანიზმი, თუმცა უნივერსიტეტმა

წარმოადგინა უშუალოდ მონიტორინგის ანგარიში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ეს ორი დოკუმენტი რეალურად სრულიად სხვადასხვა დოკუმენტები იყო თავისი შინაარსით. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ამ თემაზე იყო საუბარი უნივერსიტეტის მენეჯმენტთან და მათი მხრიდან აღინიშნა, რომ ამ დოკუმენტზე მუშაობა გრძელდებოდა, იგეგმებოდა სიახლეების დანერგვა, უნდა შექმნილიყო და დანერგილიყო KPI სისტემა. ექსპერტმა განმარტა, რომ ინტერვიურების პროცესში ინსტიტუციამ ასევე დააფიქსირა, რომ აღნიშნულის საჭიროებას აცნობიერებენ და მათ ექსპერტებს გააცნეს ახალი გეგმა, რომელიც სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის ახალ შესაძლებლობებს მისცემდა მათ. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ ეს იყო ის დადებითი მომენტი, რომელიც ექსპერტთა ჯგუფმა ნახა ვიზიტისას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხეთისიაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ ჰქონდა დაწესებულებას შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, ასევე, SWOT ანალიზი თუ ნახეს ექსპერტებმა, რომლის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო სტრატეგიული გეგმის შემუშავება. ირაკლი ხეთისიაშვილმა აღნიშნა, რომ SWOT ანალიზი თავად ვერ ნახა და რომ მას აინტერესებდა, როგორ მოხდა სტრატეგიული გეგმის შემუშავება და როგორ შეფასდა აღნიშნული კომპონენტი ექსპერტების მიერ, თუ უნივერსიტეტს SWOT ანალიზი არ ჰქონდა.

ექსპერტმა, მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ მხოლოდ სტრატეგიული განვითარების გეგმის დოკუმენტი იყო წარმოდგენილი დაწესებულების მხრიდან. ასევე, მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ საბჭოს წევრის, ირაკლის ხეთისიაშვილის მიერ აღნიშნული SWOT ანალიზი იყო მისთვის უფრო „მეთოდოლოგია“. მისი განმარტებით, SWOT ანალიზი, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების ერთ-ერთ გზას წარმოადგენდა, რომელიც ცალკე არ იყო წარმოდგენილი. ამდენად ექსპერტებს დაწესებულების SWOT ანალიზი არ შეუფასებიათ. რაც შეეხება საბჭოს წევრის შეკითხვას, თუ როგორ შეაფასეს ექსპერტებმა დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა SWOT ანალიზის გარეშე, მაია შიშნიაშვილმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი არ იყო ვალდებული აუცილებლად SWOT ანალიზი აერჩია სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისათვის, რადგან არსებობდა სხვა მეთოდები და ინსტრუმენტები, რომელთა არჩევაც დაწესებულებას შეეძლო, ამდენად უნივერსიტეტი აირჩევდა თუ არა SWOT ანალიზის გაკეთებას, ეს თავად მისი არჩევანი იყო. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულებას ისე შეეძლო დაესახა სტრატეგია, რომ სულაც არ ჩაეტარებინა SWOT ანალიზი, ასეთი ანალიზის არსებობის შემთხვევაშიც, ექსპერტების მხრიდან არასწორი იქნებოდა SWOT-ის შეფასება, რადგან ამ შემთხვევაში ექსპერტები გარე შეფასებას ახორციელებდნენ და მათ უნდა შეეფასებინათ, თუ როგორ პასუხობდა უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმა უნივერსიტეტის მისიასა და ავტორიზაციის სტანდარტით გათვალისწინებულ შეფასების კრიტერიუმებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ რეალურად SWOT ანალიზი ჩატარდა. მან განმარტა, რომ აქ იყო საუბარი იმ ინფორმაციაზე, რომლის გარეშეც ფაქტობრივად სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი ვერ ჩამოყალიბდებოდა. თუმცა, სტრატეგიის შემუშავებისთვის გამოყენებული მეთოდოლოგია რამდენად იყო SWOT ანალიზი, ეს მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სტრატეგიაში მითითებული იყო რამდენიმე მეთოდოლოგიური ნაბიჯი, პირველი ნაბიჯი იყო SWOT ანალიზის ჩატარება და მან დააზუსტა, რომ ეს ჩანაწერი აღნიშნული იყო თვითშეფასების მე-7 გვერდზე. შემდეგი ნაბიჯი გულისხმობდა პერსონალის ელექტრონულ გამოკითხვას და ამის შედეგად მოხდა მისიის ხელახალი გაცხადება/გადაფასება/გააზრება და ხედვის ჩამოყალიბება.

შესაბამისად, სტრატეგიული დოკუმენტის არა თუ მეთოდოლოგიაზე, ტექნიკური და სტატისტიკური SPSS სისტემით დამუშავებაზეც კი იყო საუბარი.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დიმიტრი კორძაიამ თხოვნით მიმართა დამსწრე პირებს, შენარჩუნებულიყო საბჭოს წარმართვის ფორმატი, კერძოდ, დასმულიყო შეკითხვა, მოესმინათ პასუხი ექსპერტისგან და შემდგომ დაწესებულებას წარმოედგინა საკუთარი პოზიცია და არგუმენტი. მან აღნიშნა, რომ ყველა სიტყვაზე კომენტარის გაკეთება სხვადასხვა მხარის მიერ არ იქნებოდა მიზანშეწონილი. საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა საბჭოს მოწვეულ წევრს, რომ ასეთი ფორმატი ემსახურება გარემოებების გამორკვევას, რომლის საფუძველზეც დგებოდა გადაწყვეტილება, შემდგომ კი მან სიტყვა გადასცა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს.

აღნიშნულ საკითხზე დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ იქიდან გამომდინარე, რომ სტრატეგიული გეგმის არსებობის გარშემო გაჩნდა დისკუსია, მან საჭიროდ ჩათვალა წაეკითხა ამონარიდი თვითშეფასებიდან და დაესაბუთებინა, რომ ჩატარდა SWOT ანალიზი. თუ როგორ აპირებდა დაწესებულება უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, მან მოიყვანა მაგალითი, რომ თუკი უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების ამჟამინდელი დონე იყო 1%, მიზანი იქნებოდა, რომ კამპანიის ჩატარების შემდეგ 60%-ს ცოდნოდა უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის შესახებ. მან აღნიშნა, რომ აქტივობებში გაწევილი იყო უნივერსიტეტის გამომცემლობის საქმიანობა, რა უნდა გააკეთოს ამ აქტივობაზე პასუხისმგებელმა პირმა, როდისთვის უნდა გააკეთოს და ა.შ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ რეალურად SWOT იყო საშუალება, ანალიზის მეთოდი და არა მოდელი. მან განმარტა, რომ დაწესებულება იყო თავისუფალი მსოფლიოში არსებული სტრატეგიული დაგეგმვის მოდელებიდან, მეთოდებიდან რომელს აიღებდა და გამოიყენებდა. მან აღნიშნა, რომ სულ არსებობდა 7 მოდელი, ასევე არსებობდა ჰიბრიდული მოდელებიც და დაწესებულებას შეეძლო ნებისმიერი მოდელის შერწყმა და არჩევა სტრატეგიული გეგმის შესაქმნელად. ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ ის რომ მეთოდოლოგია არ არსებობს ეს იყო მცდარი მოსაზრება და შეფასება.

საბჭოს წევრებმა, ლევან იმნაიშვილმა და ირაკლი ხვთისიშვილმა კიდევ ერთხელ სთხოვეს ექსპერტებს დაეკონკრეტებინათ, ნახეს თუ არა უნივერსიტეტის სტრატეგია და ნახეს თუ არა დოკუმენტი რის საფუძველზეც შეიქმნა სტრატეგია, ნახეს თუ არა SWOT ანალიზის დოკუმენტი. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ცალკე დოკუმენტად არ იყო წარმოდგენილი SWOT ანალიზი, მაგრამ ექსპერტებს მისი ნახვა არ მოუთხოვიათ. მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტები არ აფასებენ უნივერსიტეტის სტრატეგია კარგია თუ ცუდი, ეს მათი კომპეტენცია არ იყო, ისინი რეალურად ამოწმებდნენ უნივერსიტეტი იყო თუ არა შესაბამისობაში ავტორიზაციის სტანდარტებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტს, მაია შიშნიაშვილს, რომ ის არ ეთანხმებოდა მის პოზიციას და მან აღნიშნა, რომ ზოგადად, ექსპერტების დასკვნის საფუძველზე ხდებოდა დაწესებულების ბედის გადაწყვეტა საბჭოს მიერ, რეალურად საბჭო ეყრდნობოდა ექსპერტების დასკვნას.

საბჭოს წევრმა, ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ორგანიზაციას ჰქონდა კონკრეტული სუსტი მხარე, სტრატეგიულ გეგმაში უნდა ყოფილიყო გაწერილი დეტალურად, თუ როდის აღმოფხვრიდა დაწესებულება ამას, რა ტაქტიკით და რა ფინანსებით. ირაკლი ხვთისიაშვილს აინტერესებდა, როგორ შეფასდებოდა უნივერსიტეტის სტრატეგია თუკი სტრატეგიის შემუშავების ტექნიკას არ გაეცნო ექსპერტების ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტმა, მაია შიშნაშვილმა ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, ადგილი ჰქონდა თუ არა გარკვეულ სუსტ მხარეებს დაწესებულებაში, პრობლემა იყო ის, რომ სტრატეგიულ გეგმაში არ იყო გაწერილი კონკრეტული აქტივობები და შესაბამისად, აქტივობებიც არ იყო შეფასებადი. მან განმარტა, რომ დაწესებულებაში ორი მთავარი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო არსებობდა: აკადემიური საბჭო და წარმომადგენლობითი საბჭო. წარმომადგენლობით საბჭოს გააჩნდა 13 აქტივობა, ხოლო აკადემიურ საბჭოს - 25 აქტივობა. მან აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დროს ორივე საბჭოს წარმომადგენლებთან განხორციელდა შეხვედრა და საბჭოებმა ვერ შეძლეს დადასტურება, იმისა რომელიმე აქტივობა უკვე შესრულებული იყო, ან არსებობდა თუ არა რომელიმე აქტივობის შესრულების კონკრეტული გეგმა. მან განმარტა, რომ ინტერვიუება ასევე წარმოდგენდა ინფორმაციის გადამოწმების მეთოდს, როცა ხდებოდა გადამოწმება თუ რამდენად იცნობდნენ შესაბამისი პირები ინსტიტუციაში საკუთარ ვალდებულებებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის მექანიზმი. მან აღნიშნა, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმის მე-13 გვერდზე იყო ჩანაწერი, რომ სტრატეგიული განვითარების პროგრესს შეამოწმებდა სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, რომლის მიერ შემუშავდა 2017 წლის მონიტორინგის დოკუმენტი და ეს დოკუმენტი იყო წარმოდგენილი ავტორიზაციის პროცესში. ექსპერტმა, მაია შიშნაშვილმა აღნიშნა, რომ რეალურად, ეს იყო მონიტორინგის მექანიზმის აღწერის დოკუმენტი, რომელიც იყო მოცულობით ძალიან მცირე და განმარტა, რომ ის, როგორც ექსპერტი არ თვლიდა, რომ ეს დოკუმენტი შესაძლებელი იყო ჩათვლილიყო როგორც მონიტორინგის დოკუმენტი.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დოკუმენტებში წარმოდგენილი იყო 2017 და 2018 წლის ანგარიშები, შესაბამისად, მარტივად შესაძლებელი იყო გადამოწმებულიყო მიღწეული იყო თუ არა შედეგები. დავით კერესელიძემ განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმის მიხედვით 2017 წლის დეკემბერში საკონფერენციო დარბაზში დამონტაჟებული უნდა ყოფილიყო 3D აპარატურა, ექსპერტები იყვნენ და გაეცნენ ამ ყველაფერს, თავად ნახეს, რომ საკონფერენციო დარბაზში იყო შესაბამისი აპარატურა. ასევე, უნდა მოწყობილიყო სტუდენტური კაფეტერია, რომელშიც ასევე ყოველდღე უწევდათ ექსპერტებს შესვლა უნდა ამოქმედებულიყო 2017 წლის დეკემბერში, და ა.შ. შესაბამისად, სტრატეგიული გეგმაში გაწერილი აქტივობები იყო შესრულებული, ამ აქტივობებზე იყო პასუხისმგებელი უნივერსიტეტის კანცლერი, ასევე გახარჯულია ფინანსები და ექსპერტებს უმარტივესად შეეძლოთ ენახათ და გადამოწმებინათ რამდენად შესრულდა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული აქტივობები. თუმცა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მაგალითად, ხარისხის კულტურის გაზრდასთან დაკავშირებით მუდმივი მუშაობა იყო საჭირო. მან განმარტა, რომ არ შეიძლება ხარისხის კულტურასთან დაკავშირებით ერთი მიზანი იყოს დასახული, მას მიაღწიოს დაწესებულებამ და თქვას, რომ დასრულდა ხარისხის კულტურასთან დაკავშირებით მუშაობა. მან აღნიშნა, რომ ხარისხის კულტურასთან დაკავშირებით არის სამოქმედო გეგმაში მითითებული ვადებში - მიმდინარე, რადგან არის

გარკვეული საკითხები, რომელსაც მუდმივი მუშაობა სჭირდება და კონკრეტულ ვადებს არ ექვემდებარება.

ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა საბჭოს წევრმა, შოთა ცანავამ დაწესებულებას მიმართა და აღნიშნა, რომ პირადად ის დაწესებულებას არ მისცემდა კენჭისყრაზე ხმას, რადგან, „ნიუ ვიჟენ“ უნივერსიტეტი, მას ეს სახელი არ მოსწონდა და განაცხადა, რომ დაწესებულების დამფუძნებლებს შეეძლოთ ქართული სახელწოდება დაერქმიათ უნივერსიტეტისათვის, მან განმარტა, რომ ის არ არის ძალიან ტრადიციული და კონსერვატორი, თუმცა, ისურვებდა, რომ დაწესებულებას ჰქონოდა ქართული სახელწოდება. მან ასევე აღნიშნა, რომ ის პოზიტიურად განწყობილი მოვიდა საბჭოს სხდომაზე და აღნიშნა, რომ დაწესებულების პოზიციის მოსმენის პროცესში, რაც მათ საბჭოს სხდომაზე წარადგინეს, იგი ნეგატიურად განეწყო დაწესებულების მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმარტა მოწვეული საბჭოს წევრს შოთა ცანავას, თუ რის საფუძველზე იღებდა ასეთი ტიპის გადაწყვეტილებას, როდესაც ჯერ მხოლოდ ერთი სტანდარტი ჰქონდა მოსმენილი.

საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტებს, რომ გადასულიყვნენ მეორე სტანდარტის მიმოხილვაზე. ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ ექსპერტი, რომელიც მუშაობდა ამ სტანდარტზე არ იმყოფებოდა სხდომაზე, შესაბამისად, ის შეეცდებოდა ესაუბრა მის ნაცვლად.

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან მიმართებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში არსებობდა გადაწყვეტილების მიმღები ორი ორგანო, შესაბამისად, გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო მიღებული კონსენსუსით, ან 4/5-ის უმრავლესობით. ექსპერტმა განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს გარკვეულმა წარმომადგენლებმა სრულად არ იცოდნენ თავიანთი პასუხისმგებლობების შესახებ, რაც მეტყველებდა იმაზე, რომ მათი სტრუქტურა არაეფექტური იყო. მან აღნიშნა, რომ არსებული მომენტისთვის, მსგავსი სტრუქტურა შეიძლება გამართლებული ყოფილიყო, თუმცა ორგანიზაცია როდესაც გაიზრდებოდა ასეთი გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების არსებობა აღარ იქნებოდა მიზანშეწონილი. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ მაგალითად, წარმომადგენლობითი საბჭო ორჯერ იკრიბებოდა წელიწადში და რომ ზოგადად, კომუნიკაცია ხდებოდა ელექტრონული პლატფორმებით. ექსპერტმა ასევე, აღნიშნა, რომ ვიზიტისას დამსწრე პირები აცხადებდნენ, რომ გადაწყვეტილებას იღებს კანცლერი და ჯგუფს დარჩა შთაბეჭდილება, რომ რამდენიმე ადამიანი იღებს გადაწყვეტილებას, ის რომ ინფორმაცია ეგზავნებათ ადმინისტრაციის წარმომადგენლებს ელექტრონული ფოსტით და ისინი ეთანხმებიან ამ ინფორმაციას, არ ნიშნავს, რომ ჩართულები არიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ჯგუფის მოსაზრებით ამ სახით გადაწყვეტილებების მიღება ეფექტური ვერ იქნებოდა. ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით ექსპერტებს შენიშვნები არ ჰქონდათ, რადგან შესაბამისი სამუშაო გაწეული ჰქონდა უნივერსიტეტს. ექსპერტმა მოიხადა ბოდიში, რადგან მას თავად ამ ქვესტანდარტზე არ უმუშავია და ვერ შეძლებდა ძალიან დეტალურად მიმოხილა გამოვლენილი საკითხები, თუმცა მან აღნიშნა, რომ ამ სტანდარტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს შენიშვნები არ ქონია და ის დოკუმენტები, რომელიც უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, დაწესებულებას ჰქონდა ყველაფერი შემუშავებული.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნაში მითითებული იყო, რომ უნივერსიტეტს ჰქონდა ჰორიზონტალური მართვის სტრუქტურა, თუმცა, ასევე, დასკვნაში

ეწერა რომ უნივერსიტეტის სტრუქტურა უნდა ყოფილიყო უფრო მეტად ფორმალური, ანუ დაწესებულება უნდა გადასულიყო ვერტიკალურ სტრუქტურაზე. ლევან იმნაიშვილმა დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ სტრუქტურის ასეთი ფორმა დიდი უნივერსიტეტების შემთხვევაში მისაღები იქნებოდა, თუმცა ამ მდგომარეობით უნივერსიტეტს არ სჭირდებოდა ასეთი სტრუქტურა. იმ შემთხვევაში, თუ გაიზრდებოდა უნივერსიტეტი, ის შეცვლიდა სტრუქტურას, ახლა კი, მისი მოსაზრებით, მიზანშეწონილი არ იყო სტრუქტურის ცვლილება.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა ექსპერტებს მიმართა, რომ ხარისხის მექანიზმების გამართულობა არც თუ ისე სახარბიელოდ იყო შეფასებული დასკვნაში და მას აინტერესებდა, თუ რას საქმიანობდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტი, რა ჰქონდა დადებითი და რა უარყოფითი კომიტეტის საქმიანობას.

ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა აღნიშნა, რომ არ იყო მისი მხრიდან მიზანშეწონილი შეკითხვაზე საკუთარი მოსაზრება დაეფიქსირებინა, რადგან ამ მიმართულებით მას პირადად არასოდეს უმუშავია და მისი პასუხი ვერ იქნებოდა კომპეტენტური. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ცოტა დაუჯერებელი ფაქტი იყო, რომ როგორც აღნიშნული იყო დასკვნაში, ხარისხის უზრუნველყოფის კომიტეტს არ ჰქონდა შესაბამისი დოკუმენტაცია წარმოდგენილი ასევე, მარინა გედევანიშვილმა უპასუხა ექსპერტს, რომ მართალია ყველა ექსპერტი არ მუშაობს ყველა სტანდარტზე, მაგრამ ჯგუფი მთლიანობაში აფასებს უნივერსიტეტს და ექსპერტები უნდა იცნობდეს რეკომენდაციებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამდენად გამართული იყო უნივერსიტეტში იურიდიული თვალსაზრისით გადაწყვეტილების მიღების მექანიზმები და ასევე, მიმართა დაწესებულებას, ამასთან დაკავშირებით წარმოედგინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება არ იყო ახალი და არც ისეთი პატარა იყო, როგორადაც იყო წარმოდგენილი. უნივერსიტეტის მიღწევა და ინოვაცია მდგომარეობდა იმაში, რომ დაინერგა მართვის ახალი მოდელი, რომელიც იზიარებდა კონსესუსის და კოლეგიალურობის პრინციპებს. მან განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის აქტიურობიდან გამომდინარე, საბჭოს წევრებს არ უნდა დარჩენოდათ შთაბეჭდილება, რომ უნივერსიტეტში ერთპიროვნული რეჟიმი იყო გადაწყვეტილების მიღებისას. მან დასძინა, რომ ის ფაქტი თითქმის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე წვეტდა ყველაფერს უნივერსიტეტში საკმაოდ მცდარი მოსაზრებაა. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად, როდესაც ექსპერტების მიერ დასკვნა იწერება და ფასდება უნივერსიტეტი, ექსპერტების მხრიდან სუბიექტურობა ჩნდება, შეფასებისას აუცილებელია შესაბამისი მტკიცებულებები. ასევე, ინტერვიუების დროს მიღებული სუბიექტური შეხედულებების გარდა, შეფასებისას დოკუმენტაციაც უნდა იყოს გათვალისწინებული მტკიცებულებებად.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნა არ იწერებოდა პერსონალურ ემოციებზე, შთაბეჭდილებებზე დაყრდნობით. მან განმარტა, რომ მას შეეძლო ეჩვენებინა დამსწრე საზოგადოებისთვის ამონარიდები, თუ რამდენად სუბიექტური შეფასებები იყო მოცემული დასკვნაში. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტში ძალიან მოცულობითი აკადემიური საბჭო იყო, ხელის აწევით ხმის მიცემის არსებობის გარეშე ფაქტობრივად შეუძლებელი იქნებოდა გადაწყვეტილების მიღება, თუმცა იყო ინტერაქტიული კენჭისყრების შემთხვევებიც, ხოლო

დასკვნაში კი აღნიშნული იყო, რომ აკადემიური საბჭოს ხელმძღვანელი იღებდა გადაწყვეტილებებს. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ მსგავს ჩანაწერს ფაქტობრივი საფუძველი და არგუმენტაცია უნდა ჰქონოდა. მან ასევე დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება, რომ დასკვნა არ უნდა დაწერილიყო ექსპერტების პირადი შთაბეჭდილებების საფუძველზე, რადგან როგორც ჩანდა შთაბეჭდილება დარჩათ ექსპერტებს, რომ მხოლოდ ორი ადამიანი იღებდა გადაწყვეტილებას. მან აღნიშნა, რომ ექსპერტების დასკვნის საფუძველზე შეიძლებოდა 500-მდე ადამიანი უმუშევარი დარჩენილიყო, თუკი ავტორიზაციას ვერ მიიღებდა უნივერსიტეტი. კახი ყურაშვილის კომენტართან დაკავშირებით საბჭოს მოწვეულმა წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენელი არ პასუხობდა დასმულ შეკითხვას. ასევე, საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ივანე ჩხაიძემ გააკეთა კომენტარი, რომ დღეს საკმაოდ დამაბულ რეჟიმში მიმდინარეობდა საბჭოს სხდომა, მან მოუწოდა დამსწრე პირებს რომ პატივისცემით განეწყონ ერთმანეთის მიმართ. ასევე, მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მისცენ საშუალება ექსპერტებს თქვან საკუთარი მოსაზრება, შემდგომ დაიცვან საკუთარი პოზიცია, ზეპირი მოსმენის შედეგების კი განიხილავენ ავტორიზაციის საბჭოს მუდმივი და მოწვეული წევრები და მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებას უნდა გაეცა მარინა გედევანიშვილის კითხვაზე პასუხი, რადგან ექსპერტმა მაია შიშნიაშვილმა ვერ შეძლო ამ კითხვაზე პასუხის ჩამოყალიბება.

საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ გარკვეულწილად ემოციური ფონი გასდევს დღევანდელ განხილვას, რაც მისი აზრით გავლენას არ მოახდენს გადაწყვეტილებაზე. მან განმარტა, რომ დასკვნა რეალურად მაინც სუბიექტური შეფასებაა. მან განმარტა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზეპირ მოსმენას საკითხის გადაწყვეტილების მიღებამდე. მან აღნიშნა, რომ ფაქტიურად საბჭოს სხდომა არის კვაზი სასამართლო, რადგან ორივე მხარე წარმოადგენს თავის პოზიციას, ამიტომ პროცესში ბევრი კითხვა ბუნებრივია რომ ჩნდება და ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება რომ ჩაემიოს დეტალურად გარკვეულ საკითხებს.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, შოთა ცანავამ მიმართა საბჭოს წევრს ქეთევან ცხადაძეს, რომ ის არ აქტიურობდა ასე ექსპერტებთან მიმართებით და აქტიურობს დაწესებულებასთან მიმართებით. საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ განმარტა, რომ მან გააკეთა ზოგადი შეფასება, რაზეც არ დაეთანხმა ბატონი შოთა ცანავა. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა საბჭოს მოწვეულ წევრს შოთა ცანავას, რომ ის საბჭოს დასაწყისშივე იყო უკვე ნეგატიურად განწყობილი დაწესებულების მიმართ, რაც მისი აზრით არ იყო სწორი, რადგან მიმდინარეობდა ზეპირი მოსმენა და მოსმენის შემდეგ უნდა დადგეს შედეგი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ მისი გამოსვლა იყო საკმაოდ ემოციური, რამაც გამოიწვია ასეთი ვნებათაღელვა. მან აღნიშნა, რომ ის რადგან იურისტია მისი პოზიციის ესმის ასევე საბჭოს წევრს ქეთევან ცხადაძეს და ამიტომაც გააკეთა ქეთევან ცხადაძემ წინარე კომენტარი. ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას უწევს საკუთარი პოზიციის დაცვა და საბჭოს წევრების დარწმუნება იმაში, რომ ექსპერტები გარკვეული საკითხების შეაფასებაში ცდებიან. კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ თუ ექსპერტები დაწერდნენ დასკვნაში, რომ მათ IQ არ აქვთ, ცხადია მას აქვს კანონიერი უფლება, რომ არგუმენტირებულად მიმოიხილოს ყველა პრობლემატური საკითხი.

კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის უფლება იყო დაეცვა თავი და ეპასუხა ექსპერტების შეფასებებზე. ასევე, კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეულმა ერთ-ერთმა წევრმა ზეპირი მოსმენის დასრულების გარეშე გამოხატა თავისი პოზიცია უნივერსიტეტის მიმართ, ეს კი მისი მოსაზრებით, ნიშნავდა, რომ ადგილი ჰქონდა საბჭოს წევრის მხრიდან საკითხისადმი მიკერძოებას. შესაბამისად, მან ავტორიზაციის საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა საბჭოს მოწვეული წევრი - შოთა ცანავას აცილების თაობაზე. კახი ყურაშვილმა განმარტა, რომ აცილების საფუძველი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ საბჭოს კონკრეტულმა წევრმა წინასწარ, საჯაროდ გააკეთა განცხადება თავისი პოზიციის შესახებ საქმის გარემოების სრულყოფილად შესწავლის გარეშე, რაც შესაძლოა ყოფილიყო მისი ტენდენციურობის მაჩვენებელი.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ განმარტა, რომ აცილების უფლება დაწესებულებას ჰქონდა საკითხის განხილვის დაწყებამდე და თუკი, აცილებას დააყენებდნენ და საბჭო მათ მოთხოვნას დააკმაყოფილებდა, აღარ იქნებოდა ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრების კვორუმი, შესაბამისად, საბჭო ვერ შეძლებდა საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მისაღებას. აღნიშნულ მოსაზრებას დაეთანხმა ცენტრის წარმომადგენელი ლალი გიორგიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო იქნებოდა უფლებამოსილი საკითხი განეხილა და გადაწყვეტილება მიეღო, თუკი საბჭოს დაესწროდა საბჭოს მოწვეული წევრების არანაკლებ $\frac{3}{4}$.

აღნიშნული არგუმენტაციის საფუძველზე, კახი ყურაშვილმა განაცხადა, რომ აცილების დაკმაყოფილების შემთხვევაში კვორუმის არარსებობის გამო, ის ხსნიდა მის მიერ წარდგენილ შუამდგომლობას საბჭოს მოწვეული წევრის აცილების თაობაზე.

ექსპერტმა, მაია ბიწვინაშვილმა მიმოიხილა დაწესებულების შესაბამისობა ავტორიზაციის მესამე სტანდარტთან. მან განმარტა, რომ დაწესებულებას გააჩნდა შესაბამისი რეგულაციები პროგრამებთან დაკავშირებით, ყველა პროგრამა იყო აკრედიტებული, თუმცა, ინტერვიუების დროს გამოვლინდა, რომ ყველა დაინტერესებული მხარე არ იყო ჩართული პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში, იგივე ეხებოდა აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებსაც. გარდა ამისა, ექსპერტმა განმარტა, რომ შრომის ბაზრის საჭიროებების კვლევა უნივერსიტეტმა მიაწოდა ექსპერტებს, თუმცა კვლევის შედეგები, რომლებიც ახლახანს იყო მიღებული, ფიზიკურად ვერ იქნებოდა გათვალისწინებული პროგრამის შემუშავებისას, რადგან პროგრამის შემუშავება წინ უსწრებდა აღნიშნული კვლევის ჩატარებას. ავტორიზაციის ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ პროგრამების შემუშავება ამ კონკრეტულ კვლევაზე დაყრდნობით არ მომხდარა, მაგრამ კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელი იქნებოდა მომავალში.

მედიცინის ერთსაფეხურიან პროგრამასთან მიმართებაში, ექსპერტმა განმარტა, რომ წარმოდგენილი იყო სპირალური კურიკულუმი, სადაც სწავლების ახალი მეთოდები იყო გამოყენებული, ერთ-ერთი მეთოდი იყო მაგალითად, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, თუმცა, ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 30 სტუდენტი იყო ჯგუფში, რაც ფაქტობრივად შეუძლებელს ხდიდა PBL-ის მეთოდით სწავლებას. ასევე, სტუდენტების 12 % მედიცინის პროგრამაზე მობილობით იყო გადმოსული სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და სპირალური კურიკულუმის შემთხვევაში მათი ინტეგრირება რთული იქნებოდა უნივერსიტეტისთვის. ექსპერტის თქმით, სტუდენტებს ინტერვიუების დროს ეს პრობლემა არ აღუნიშნავთ, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ უკეთესი იქნებოდა რომ ამ შემთხვევაში სტუდენტებს დამატებითი სემესტრი ჰქონოდათ ინტეგრირებისთვის. ექსპერტმა განმარტა, რომ პირველივე კურსიდან

იწყებოდა კლინიკური აქტივობები, ერთი დამატებითი სემესტრის არსებობა, რომელიც სტუდენტების ადაპტაციას მოხმარდებოდა იქნებოდა ეფექტური. ასევე, უნივერსიტეტში არის გარკვეული პროგრამები, სადაც არის 7-10 სტუდენტი და ამ პროგრამების განვითარების გეგმა ვერ იქნა მოძიებული. მაგალითად, ფიზიკური აღზრდის პროგრამაზე ვერ შეძლო ხელმძღვანელმა დაესაბუთებინა, თუ როგორ უნდა მოხდეს სტუდენტების რაოდენობის გაზრდა. სტუდენტებისთვის მობილობის შესახებ. ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამის შეფასების სისტემა იყო სტანდარტებთან შესაბამისი. ასევე, მან განაცხადა, რომ ექსპერტები OSCE-ის გამოცდას დაესწრნენ, რომელსაც ალტერნატივა არ ჰქონდა კლინიკური უნარების შესაფასებლად, თუმცა, ეს მეთოდი უფრო ჰგავდა თეორიულ ზეპირ გამოკითხვას, არ იყო საგამოცდო სადგურები ობიექტურად სტრუქტურირებული, ისე როგორც უნდა იყოს გამოცდის დროს.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, თუ რამდენი პროცენტი იყო მობილობით გადმოსული სტუდენტი დაწესებულებაში და რომელი უნივერსიტეტებიდან გადმოდიოდნენ ეს სტუდენტები, ასევე, მას აინტერესებდა, თუ რამდენი პროცენტი იყო დაწესებულებიდან სხვა უნივერსიტეტში გადასული სტუდენტის რაოდენობა.

უნივერსიტეტის წარმომადგენლმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მობილობის კოეფიციენტები სხვადასხვა გარემოებით იყო განპირობებული. მან განაცხადა, რომ ბევრი სტუდენტი იყო გერმანიიდან, დიდი ბრიტანეთიდან და ა.შ. ასევე, ბევრი იყო ისრაელში მცხოვრები არაბი, მან დასძინა, რომ ძირითადად ამ ქვეყნებიდან იყვნენ სტუდენტები უნივერსიტეტში გადმოსულები მობილობით. მან ასევე აღნიშნა, რომ ბოლო 10 თვის განმავლობაში ინსტიტუციის რეგულირებადი დარგის პროგრამებმა გაიარა რეაკრედიტაცია.

დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ თავიდან ინდოელი სტუდენტები სწავლობდნენ ძალიან ბევრი სამედიცინო პროგრამებზე, შემდეგ ადგილებს იკავებდნენ დიდი ბრიტანეთი, ირლანდია, ისრაელი, ლიბანი და ა.შ. ასევე, მან განმარტა, რომ პროგრამების რეაკრედიტაცია და ყველა ეს საფეხური რამდენჯერმე იქნა გავლილი. მან განმარტა, რომ სპირალური კურიკულუმის დროს ყოველი წლის ბოლოს ხდებოდა პროგრამასთან მობრუნება და ზემოდან ცოდნის დაშენება, შესაბამისად, ეს მობილობას აადვილებდა, მაგალითად, თუ სტუდენტი უნივერსიტეტში გადმოდის მე-5 სემესტრში, მას 3-ჯერ კიდევ ექნება საშუალება მიუბრუნდეს იმ მასალას, რაც მე-4 სემესტრის განმავლობაში გაიარა. ასევე, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ OSCE-ს ოთახებს დათმობილი ჰქვს 800 კვ.მ. და ექსპერტების მხრიდან დაკვირვება მოხდა მხოლოდ ერთ სადგურზე, რაც იყო ფრაგმენტული.

ავტორიზაციის ექსპერტმა, მაია ბიჭვინაშვილმა აღნიშნა, რომ მინიმუმ 8 სადგური მაინც უნდა ჰქონოდა დაწესებულებას, თუმცა სტუდენტებთან საუბრის დროსაც გამოჩნდა, რომ სამი სადგური არსებობდა დაწესებულებაში. დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სიმულაციური ცენტრი, გამოიყენებოდა OSCE-ისთვის, ხოლო 4 სადგური უნდა ყოფილიყო თუ 8, ეს კიდევ სხვა საკამათო საკითხი იყო..

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სამედიცინო ეთიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო ინფორმირებული თანხმობა. მან განმარტა, რომ ნებისმიერი ნოზოლოგიის დროს მანიპულაციას უნდა წინ უძღოდეს ინფორმირებული თანხმობა პაციენტისგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სურდა პასუხი გაეცა შეკითხვებზე ხარისხის კულტურასთან და სტუდენტების ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით. მან საბჭოს წევრებს მიმართა ენახათ ხარისხის კულტურასთან დაკავშირებით ნახონ რა აქტივობები გატარდა ამ მიმართულებით ვებგვერდზე. მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ მას ნანახი ქონდა ვებ-გვერდზე ეს ინფორმაცია და რომ მას სურდა ექსპერტებს დაედასტურებინათ ამის შესახებ. რაც შეეხება, საერთაშორისო სტუდენტებში ქართული ენის ცოდნას, დავით კერესელიძემ განმარტა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა ქართული ენის კლუბი, საერთაშორისო სტუდენტების მხოლოდ 10% სურდა ქართული ენის შესწავლას, რადგან აქ არ არის საუბარი მხოლოდ სასაუბრო ენის ცოდნაზე. მან ასევე განმარტა, რომ მიმდინარეობდა მუშაობა უცხოელი პაციენტების რაოდენობის გაზრდაზე ინსტრუქციის კლინიკაში. მან დასძინა, რომ ეს არის ძალიან კომპლექსური თემა და არ არის მარტივი განსახორციელებელი.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, მერაბ ბუაძემ კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ რომელი კლინიკები იყო უნივერსიტეტის სამედიცინო ბაზები. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ „ნიუ ვიქენის“ საუნივერსიტეტო ჰოსპიტალი იყო ბრენდული კლინიკა, მათ ბევრ კლინიკასთან ჰქონდათ დადებული ხელშეკრულება, რომელთა ჩამონათვალიც იყო მოცემული არგუმენტირებულ პასუხში და ასევე განთავსებული იყო უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტებს, რომ გადასულიყვნენ დაწესებულების მეოთხე სტანდარტთან შესაბამისობის განხილვაზე.

ექსპერტმა მაია ბიწვინაშვილმა აღნიშნა, რომ მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით საერთაშორისო ექსპერტმა, ივანა ობორნამ უკვე ისაუბრა. მაია ბიწვინაშვილმა პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით დაამატა, რომ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა იყო 1/16. აკადემიური პერსონალი ყველა არ ასწავლიდა ყველა სემესტრში, შესაბამისად, სემესტრული დატვირთვის მიხედვით გამოთვლილი თანაფარდობა გამოვიდა 1/63.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განაცხადა, რომ რეალურად, დაწესებულებაში არსებობდა დატვირთვის სქემა, რომლის მიხედვითაც გარდა სწავლებისა, აკადემიური პერსონალის ანაზღაურება ხდებოდა კვლევითი საქმიანობისთვის, მაგისტრანტებთან და დოქტორანტებთან მუშაობის მიხედვით, ასევე ადმინისტრაციულ საქმიანობაში ჩართულობისთვის (დასწრება საბჭოებზე, კომისიებზე და ა.შ.). მან განმარტა, რომ ექსპერტებმა დათვალეს ყველა საათი, რომელიც მედიცინის პროგრამაზე ნახეს და გაყვეს იმ მომენტში დატვირთვის სქემაში არსებულ ციფრზე, შესაბამისად, გამოვიდა ეს თანაფარდობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, მიმოეხილათ დაწესებულების შესაბამისობა 5.2 სტანდარტის კომპონენტთან მიმართებაში, რადგან 5.1 კომპონენტი სრულ შესაბამისად იყო შეფასებული.

ექსპერტმა ვახტანგ თებიძემ აღნიშნა, რომ დასკვნაში მეხუთე სტანდარტთან მიმართებით მხოლოდ ორი რეკომენდაცია იყო წარმოდგენილი. ერთი ეხებოდა სტუდენტების საერთაშორისო მობილობაში უფრო აქტიურ ჩართვას, რაც აღინიშნა ვიზიტების დროს, როგორც სტუდენტების, ისე დაწესებულების მხრიდან, თუმცა, ამ მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობდა. ასევე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სტუდენტებისთვის უნდა ხდებოდეს მათ მიერ

გამოთხოვილი ადმინისტრაციული ინფორმაციის დროულად მიწოდება. ექსპერტმა განმარტა, რომ გამოკითხვებმა აჩვენა ცალკეული შემთხვევები ადმინისტრაციის მხრიდან გვიანდებოდა სტუდენტებისათვის მოთხოვნილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის მიწოდება.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა კითხვით ექსპერტებს სტუდენტების გამოკითხვის ფორმატთან დაკავშირებით. ვახტანგ თებიძემ აღნიშნა, რომ გამოკითხვა ელექტრონული სახით ხორციელდებოდა. ზოგადად სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები საკმაოდ მაღალ დონეზე იყო უნივერსიტეტში, მოქმედებდა სხვადასხვა მიმართულების კლუბები, ასევე არსებობდა უნივერსიტეტში სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის სისტემა, რასთან დაკავშირებითაც წარმოდგენილი იყო სტატისტიკა, რომელიც ასახავდა თუ რომელ სემესტრში რამდენმა სტუდენტმა ისარგებლა გადახდის მოქნილი სისტემით.

მარიამ დარბაიძემ თხოვნით მიმართა ექსპერტებს, გადასულიყვნენ დაწესებულების მეექვსე სტანდარტთან შესაბამისობის განხილვაზე, რაც შეფასებული იყო როგორც მეტწილად შესაბამისი სტანდარტთან.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დიმიტრი კორძაიამ მიმართა საბჭოს თავმჯდომარეს, თუ იყო შესაძლებელი რომ პირდაპირ დაწესებულებას მიმართონ კითხვებით. მას აინტერესებდა, თუ რამდენი დისერტაცია იქნა დაცული მედიცინის მიმართულებით, ასევე, რამდენი სამაგისტრო ნაშრომი იქნა დაცული და გამოქვეყნებული სამეცნიერო ჟურნალებში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ დაცული იყო 2 დისერტაცია მედიცინის მიმართულებით, 2 სამართლის მიმართულებით, ეს იყო გასული 1 წლის მონაცემები, საშუალოდ ბოლო სამი წლის განმავლობაში დაახლოებით 60 სამაგისტრო ნაშრომი იყო დაცული. დავით კერესელიძემ განმარტა, რომ ნაშრომის გამოქვეყნება სადოქტორო ნაშრომის დაცვის წინაპირობა იყო და რომ უნივერსიტეტის ვებგვერდზე იდო პუბლიკაციები და შესაძლებელი იყო მათი ნახვა.

საბჭოს წევრმა ქეთევან კოტეტიშვილმა მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, მას აინტერესებდა, თუ რატომ იყო ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით დაბალი შეფასება, როდესაც დოქტორანტებისა და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა იყო საკმაოდ მაღალი, ასევე უცხოელი სტუდენტების რაოდენობა იყო მაღიან დიდი. ასევე, მან მიმართა კითხვით უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ რატომ ჰქონდა 53 დოქტორანტს შეჩერებული სტატუსი ასევე, მას აინტერესებდა დაწესებულებაში თუ არსებობდა კოტუტელის პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განმარტა, რომ კატანის უნივერსიტეტთან ჰქონდა უნივერსიტეტს გაფორმებული მემორანდუმი, რომლის ფარგლებშიც, მაგალითად, 2 სტუდენტი წავიდა საქართველოდან, ხოლო 7 კი იქიდან ჩამოვიდა. ასევე, დაცული დისერტაციებიდან ერთ-ერთი უცხოელი ლექტორის თანახმობამდგენლობით გაკეთდა ზაარლანდის უნივერსიტეტში, სადაც დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სამივე განათლების საფეხურზე სწავლობდა, ასევე, ანალოგიური შემთხვევები ყოფილა კემბრიჯში, ოქსფორდში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ კვლევასთან დაკავშირებით ერთადერთი კარგი პრაქტიკა იყო ნახსენები დასკვნაში, რაც ეხებოდა საგრანტო სისტემის არსებობას. მან განმარტა, რომ უნივერსიტეტის პარტნიორი იყო კიოტოს უნივერსიტეტი, ასევე, ცაისის, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ფუნქციონირებდა ცაისის ლაბორატორია. დავით კერესელიძემ ასევე განმარტა, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორი დოქტორანტებთან დაკავშირებით იყო ის, რომ

საქართველოში დოქტორანტებს პარალელურად უხდებოდათ სამუშაო საქმიანობის შეფარდება კვლევასთან, მან აღნიშნა, რომ რეალურად გარკვეულწილად, დოქტორანტებს ხელს უწყობდნენ, თუმცა მაინც სამუშაოს შეთავსება კვლევასთან ძალიან რთული იყო. შესაბამისად, დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი სთავაზობს დოქტორანტებს მხარდამჭერ პირობებს, რომ მათ აიღონ გრძელვადიანი შევსულება და კვლევით ცენტრში, რომელიც რეალურად არის ცალკე შენობა სადოქტორო კვლევებზე იმუშაონ.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა იმ ფაქტით, რომ დასკვნაში აღნიშნული იყო დაწესებულებაში არსებული სამი კვლევითი ცენტრის არსებობის შესახებ, აქედან კი არცერთი არ იყო სამედიცინო პროფილის, გარდა ამისა პროფესორების ძირითადი ნაწილი იყო სამედიცინო მიმართულებით, საბჭოს წევრს აინტერესებდა თუ რითი იყო ეს გამოწვეული.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ რეალურად ცაისის ლაბორატორია სამედიცინოა, ასევე უნივერსიტეტს აქვს ე.წ. ცოდნის სამკუთხედის ხელშეკრულება გაფორმებული იყო ივანე ბერიტაშვილის სახელობის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრთან, ასევე, ბევრი მკვლევარი და პერსონალი არის ამ ცენტრის წარმოდგენილი. ასევე, ინტრაოპერაციული სხივური თერაპიის პროგრამა არსებობდა უნივერსიტეტში სამედიცინო მიმართულებით. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტებს განეხილათ მე-7 სტანდარტი.

ექსპერტმა მაია შიშინაშვილმა წარადგინა მეშვიდე სტანდარტი. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით არ დახვდათ პრობლემა გარდა იმისა, რომ ლექტორებისთვის არ იყო ცალკე სამუშაო სივრცე გამოყოფილი. მან აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკა იყო ორ შენობაში, ერთადერთი პრობლემატური საკითხი საბიბლიოთეკო რესურსებთან მიმართებაში იყო ელექტრონული რესურსის გამოყენების სტატისტიკა, რომელიც იყო ძალიან დაბალი. ინტერვიურებისას სტუდენტებმაც განაცხადეს, რომ იშვიათად ჰქონდათ ისეთი დავალება, რომელიც მოითხოვდა საბიბლიოთეკო რესურსების გამოყენებას. ერთ-ერთმა ლექტორმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მითითებული ლიტერატურა სრულად საკმარისი იყო დავალებების შესასრულებლად. რაც შეეხება ინფორმაციულ პოლიტიკას, თუ როგორ ხდებოდა უნივერსიტეტში თანამშრომლების ინფორმირება IT რისკების შესახებ და ა.შ., ამ მიმართულებით დაწესებულებაში ვერ მოინახა საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ აღნიშნა, რეალურად რამდენად მოეთხოვებოდა სტანდარტის მიხედვით უნივერსიტეტს ცალკე დოკუმენტის სახით IT პოლიტიკის წარმოდგენა. ექსპერტმა მაია შიშინაშვილმა აღნიშნა, რომ მსგავსი პოლიტიკის არსებობა გათვალისწინებული იყო სტანდარტით, რომ ამჟამად საინფორმაციო ტექნოლოგიები აკმაყოფილებდა დაწესებულების საჭიროებებს, მაგრამ საჭიროებდა გარკვეული ცვლილებებს, რაც ასახული იყო დასკვნაში. საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტს განუმარტა, რომ თუკი დაწესებულებას აქვს აუტოსორსინგი Google-თან და შესაბამისად, კონტრაქტის პირობები ითვალისწინებს ქსელის დაცულობას, მიაჩნდა თუ არა ექსპერტს, რომ აუცილებელი იყო თუ არა IT პოლიტიკის დოკუმენტი, თუ Google-თან არსებულ კონტრაქტის პირობებში ყველაფერი იყო მითითებული.

ექსპერტმა მაია შიშინაშვილმა განმარტა, რომ საჭირო იყო არსებულიყო გეგმა, რომელიც IT უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ მაღალ რისკებს გადააქცევდა დაბალ რისკებად, მან აღნიშნა რომ საუბარი იყო მონაცემთა უსაფრთხოებაზე.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა ფინანსური რესურსების შესახებ, მან განმარტა რომ ექსპერტები შეხვდნენ სამ პირს, რომლებიც მუშაობდნენ ფინანსების მიმართულებით, პირველი მათგანი მუშაობდა ინვოისის გადარიცხვების შესახებ, მეორეს ევალებოდა ტენდერების ორგანიზება, მესამე პირს ევალებოდა შესყიდვებისა და აუდიტის განხორციელება. ექსპერტმა აღნიშნა, რომ არ კეთდებოდა ფინანსური ანალიზი თუ რომელი სტრუქტურული ერთეული რა ხარჯების მატარებელი იყო, ასევე არ ხდებოდა ყოველთვიური ანგარიშების ჩაბარება ბიუჯეტთან დაკავშირებით, უნივერსიტეტს არ ჰქონდა ფინანსური პოლიტიკა და არ ჰყავდა ფინანსური დირექტორი, ფინანსების მართვაზე პასუხისმგებლები იყვნენ კანცლერი და წარმომადგენლობით საბჭო. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აუდიტზე პასუხისმგებელი პირმა ვერ შეძლო განმარტებების გაკეთება ბიუჯეტის ცალკეულ პუნქტებთან დაკავშირებით, მან ასევე აღნიშნა, რომ იგი განმარტებას ვერ გააკეთებდა ამ პუნქტებზე და რომ მისი ჩართულობა ბიუჯეტირებაში გამოიხატებოდა მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდებით, რასაც მას კანცლერი მოთხოვდა. ექსპერტმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში არ არსებობდა ფორმალური ფინანსური რეპორტირების სისტემა. მან განმარტა, რომ ფინანსური რეპორტირების სისტემა გულისხმობს ფინანსური მონაცემების ანალიზს და მათ შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მენეჯმენტისთვის გადაწყვეტილებების მიღების მიზნით, მსგავსი რამ ფინანსური სამსახურის მიერ არ ხორციელდება. ხდება მხოლოდ იმ ინფორმაციის მიწოდება, რაც მენეჯმენტს სჭირდება, ამდენად შესაძლებელი იყო თქმულიყო, რომ ფინანსური რეპორტირების სისტემა ინსტიტუციაში არ არსებობდა.

7.3 სტანდარტის კომპონენტში. ექსპერტმა მაია შიშინაშვილმა აღნიშნა, რომ სწავლებისა და სწავლისათვის საჭირო საინფორმაციო სისტემის არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელი იყო ინსტიტუციაში.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა უნივერსიტეტს მართვის საინფორმაციო სისტემა (MIS) და ეს სისტემა გუგლის სისტემაზე თუ იყო მიბმული. ექსპერტმა მაია შიშინაშვილმა დაადასტურა, რომ მსგავსი სისტემა, რომელიც გუგლზე იყო მიბმული არსებობდა უნივერსიტეტში.

დაწესებულების წარმომადგენელი ეკატერინე აზარაშვილმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს გააჩნდა ე.წ პორტალი, რომელზეც დატანილი იყო ყველანაირი სახის ინფორმაცია და ხდებოდა მისი მართვა ელექტრონული ფორმით, ასევე, ხდებოდა ელექტრონული სერვისების მიწოდება სტუდენტებისთვის.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა მიმართა კითხვით უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, სერვერი იყო უნივერსიტეტის შიგნით, უნივერსიტეტის სივრცეში, თუ დაწესებულება სარგებლობდა აუთსორსინგით. ასევე, დაინტერესებდა, გაფორმებული იყო თუ არა ხელშეკრულება მომსახურების თაობაზე. უნივერსიტეტის კანცლერმა, ეკატერინე აზარაშვილმა, აღნიშნა, რომ სერვერი აუთსორსინგზე იყო გატანილი. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ინერგებოდა KPI სისტემა, ეს იყო ახალი სიტყვა განათლების სისტემაში. რაც შეეხება პორტალს, მოხდა პორტალის განახლება, რომ ის უფრო თავსებადი გახდეს KPI სისტემასთან. კანცლერმა აღნიშნა, რომ პორტალი რეალურად არსებობდა უნივერსიტეტში და ახლა მისი შექმნა არ ხდება.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა კახი ყურაშვილმა აღნიშნა, რომ დაწესებულება 7.1 სტანდარტის კომპონენტთან მეტწილი შესაბამისობითაა შეფასებული, იმიტომ რომ არც ერთ

ოთახზე არ არის წარწერა - საპროფესორო. მან განმარტა, რომ ინტერაქტიული ურთიერთობა სტუდენტს და ლექტორს შორის შეიძლება ფორმირდეს შემდგარიყო, ამიტომ მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელიმე ერთ სივრცეს ერქმეოდა საპროფესორო თუ არა. ასევე, მან აღნიშნა, რომ ფინანსისა და ჰაკერული შეტევების რისკი ყოველთვის არსებობდა დაწესებულებაზე და ეს ვერ იქნებოდა გაწერილი დოკუმენტში.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ კურსის მოსამზადებლად სტუდენტს სხვა ლიტერატურის მოძიება არ ჰქონდა და ეს მისი აზრით, ძალიან კარგი იყო. რაც შეეხება სერვერს, ისინი ენდობოდნენ გუგლს ამ შემთხვევაში, იმდენად, რომ ეს სერვერი აუტოსორსინგზე ჰქონდათ. მან განმარტა, რომ არც ბუღალტერი, არც აუდიტი და არც შესყიდვების მენეჯერი არ იყო ჩართული ბიუჯეტის შემუშავებაში, ამაზე პასუხისმგებელი იყო წარმომადგენლობითი საბჭო და კანცლერი. ასევე, მან აღნიშნა, რომ ფინანსური დირექტორიც არ იყო უნივერსიტეტში ჰორიზონტალური სტრუქტურიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი დაინტერესდა ფინანსური მდგრალობა თუ ჰქონდა უნივერსიტეტს. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ პირდაპირ დამოკიდებულები იყვნენ დაფინანსების წყაროზე - პროკრედიტ ბანკზე. მათ ჰქონდათ ვალდებულება ბანკისთვის წარედგინათ დეტალური ანგარიში, თუ რა სჭირდებოდა ამა თუ იმ პროგრამას. ასევე, მან განმარტა, რომ იყო საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებსაც დამოუკიდებელი ბიუჯეტი ჰქონდათ.

საბჭოს მოწვეული წევრი, დიმიტრი კორძაია დაინტერესდა, თუ რატომ იყო დაინტერესებული ბანკი რომ დაეფინანსებინა უნივერსიტეტი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ეს იყო სამოქალაქო, საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის საკითხი. მან განმარტა, რომ საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის ბევრი კონცეპტუალური მომენტი იყო რომელიც ჩადებული იყო უნივერსიტეტის მისიაში. გარდა ამისა, ერთ-ერთი შემოსავლის წყარო იყო სტუდენტების გადასახადი. საბჭოს მოწვეულმა წევრმა, დიმიტრი კორძაიამ უნივერსიტეტს მიმართა, რომ უკეთესი იქნებოდა დაწესებულებას ეს რესურსი უფრო მეტად გამოეყენებინა განვითარებისთვის. ასევე, აღნიშნა, რომ სტუდენტების გადასახადი უნივერსიტეტისთვის იყო არა ერთ-ერთი, არამედ ძირითადი შემოსავალი.

მოწვეულმა საბჭოს წევრმა ამირან გამყრელიძემ აღნიშნა, რომ იგი წუხდა იმის გამო, რომ საქართველოში უცხოენოვანი განათლება მედიცინაში გახდა ბიზნესი და რომ ეს განათლება ხარისხზე არ იყო ორიენტირებული. მან აღნიშნა, რომ მაგალითად, ლიტვაში უცხოენოვანი ფაკულტეტი იყო მხოლოდ ორ უნივერსიტეტში, ხოლო საქართველოში 22 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. მან ასევე აღნიშნა რომ 1500 სტუდენტის მომსახურება მედიცინის მიმართულებით ყველა დაწესებულებას უჭირდა. მან კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს და დაინტერესდა, თუ რამდენ ადამიანს შეეძლო უნივერსიტეტში რეალურად ინგლისურად სემინარისა და ლექციის ჩატარება. ასევე, დაინტერესდა, თუ რამდენი იყო პროფესორების ანაზღაურება, რომელი იყო შინაგან მედიცინაში წამყვანი სახელმძღვანელო. მან სთხოვა მედიცინის ფაკულტეტის დეკანს, დაესახელებინა ძირითად დარგებში მედიცინის 5-7 წამყვანი სახელმძღვანელო, რომლითაც პროფესორები ასწავლიდნენ უნივერსიტეტში. საბჭოს წევრმა ხათუნა ზალდასტანიშვილმა დამატებით ასევე აღნიშნა რომ აკადემიური პერსონალი მედიცინის მიმართულებით ასევე ჩართულია რეზიდენტურის საფეხურზე სწავლებაში, რაც მათ სამუშაო დატვირთვას ზრდის.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა შორენა ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ 2000 წლიდან ის ტვილდიანის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი იყო, სანამ გადმოვიდოდა ნიუ ვიუენში დეკანის პოზიციაზე. მან განმარტა, რომ მათ მჭიდრო თანამშრომლობა აქვთ სხვა დაწესებულებებთან და იყენებენ სახელმძღვანელოებს, რომელთაც „აიეტში“ იყენებდნენ, ესენია ჰარისონის, მერკლის სახელმძღვანელო, მან აღნიშნა რომ ამ მხრივ პრობლემები არ აქვთ. ასევე აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა რომ რთულია ინგლისური ენის მცოდნე პროფესორების მოძიება, ისინი მუდმივად აგრძელებენ პროფესიონალების მოძიებას, და თანამშრომლობენ „აიეტთან“ სწავლების განვითარების მიმართულებით. პერსონალის 12% იყო უცხოელი, შესაბამისად მათ შეეძლოთ ინგლისურ ენაზე სწავლება. ასევე, პერსონალის დაახლოებით 80% არის ინგლისური ენის მცოდნე.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ მას დიდი გამოცდილება აქვს პროგრამების შემუშავების მიმართულებით, პროფესორების ანაზღაურება არის 2400 ლარი და საათობრივი ანაზღაურება შეადგენდა 60 ლარს. რაც შეეხება, საერთაშორისო პროექტებს, ცაისის ინსტიტუტის წარმომადგენლებმა, როდესაც მოლაპარაკებები მიდიოდა მათთან, აღნიშნეს, რომ ისინი ელექტრონულ მიკროსკოპს არ შეიძენდნენ უნივერსიტეტისთვის, რადგან არ ეგულებოდათ ადამიანი ვინც მასზე კვლევას განახორციელებდა. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ქვეყნის იმიჯის კუთხით ეს იყო ძალიან მტკიცეული, მაგრამ ამ ყველაფრის კარგი მხარე იყო ის, რომ გერმანელმა პარტნიორებმა ინსტიტუტის აუწყვეს თანამედროვე გერმანული ლაბორატორია. მან აღნიშნა, რომ კვლევების განხორციელება საქართველოში რთულია, მაგრამ ინსტიტუტია ამ პრობლემის მოგვარებაზე მუშაობს და ცდილობენ გერმანული პრაქტიკის დანერგვას სადოქტორო პროგრამების განვითარებაში, ეს დასტურდება იმით, რომ სადოქტორო პროგრამებზე ინსტიტუტის ყავდა სტუდენტები ინგლისიდან, ირლანდიიდან და ა.შ. დავით კერესელიძემ ასევე აღნიშნა, რომ რომ დაწესებულება თანამშრომლობს LSE-სთანაც, ასევე King College. ამასთან დაკავშირებით კი საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ რა ტიპის თანამშრომლობა ქონდა უნივერსიტეტს LSE-სთან, რაზეც დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ LSE-სთან დაწესებულება თანამშრომლობს ახლად აყვანილი პერსონალის გადამზადების კუთხით.

საბჭოს მოწვეული წევრი ამირან გამყრელიძე დაინტერესდა, თუ რამდენად ყავს დაწესებულებას სტუდენტები, რომლებმაც ჩააბარეს USMLE - ამერიკის სამედიცინო სალიცენზიო გამოცდა. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ 10 სტუდენტი ჰყავთ, რომელიც დარეგისტრირდა USMLE-ის გამოცდაზე.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, მოგებას თუ ანაწილებდა დაწესებულება. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ იურიდიულად არ შეეძლოთ მოგების განაწილება, რადგან მათი იურიდიული სტატუსი იყო ა(ა)იპ, ესეც ხელს უწყობს უნივერსიტეტს სწრაფად წავიდნენ წინ. საბჭოს მოწვეული წევრი ამირან გამყრელიძე დაინტერესდა, თუ რამდენს უხდიან მოწვეულ ლექტორებს, რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განმარტა, რომ მოწვეული პროფესორების გასამრჯელო იყო 300 დოლარი თვეში.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა ამირან გამყრელიძემ მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, ჰოსპიტალის იურიდიული სტატუსი. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ ჰოსპიტალიც არის ა(ა)იპ და რომ ჰოსპიტალი არის უნივერსიტეტის შვილობილი ა(ა)იპ. ჰოსპიტალი არის 125

ადამიანზე გათვლილი. საბჭოს მოწვეულმა წევრმა აღნიშნა, რომ უკვე კარგი პრეცედენტია, რომ დაწესებულება არის ა(ა)იპ და არაა მოგებაზე ორიენტირებული კერძო ბიზნესი.

საბჭოს წევრმა გიორგი აბრამიშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით პროგრამებთან დაკავშირებით. მან განმარტა, რომ ექსპერტებმა ახსენეს, რომ დეკანები არ იყვნენ ჩართული პროგრამის შემუშავების ეტაპზე და ბატონ გიორგის აინტერესებდა, თუ რას ნიშნავდა.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ განმარტა, რომ დეკანები 2 წელიწადში ერთხელ იცვლებოდნენ, რაც მისი აზრით არის მისასალმებელი პრაქტიკა. შესაბამისად, დეკანები ახალი დანიშნულნი იყვნენ ამ პოზიციაზე, მათ შორის ქალბატონი შორენაც, ამდენად ისინი 6 წლის წინ ვერ მიიღებდნენ მონაწილეობას პროგრამის შემუშავებაში. დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ 2004 და 2008 წლებში ტურიზმის მეთოდოლოგიით კვლევები საქართველოში მისი ინიციატივით დაინერგა, შესაბამისად ამ მასალებზე დაყრდნობით შემუშავდა პროგრამები, როგორც თსუ-ში, ნიუ ვიჟენში და ასევე, ბევრ სხვა უნივერსიტეტში. გასათვალისწინებელია, რომ შარშან უკვე ამ პროგრამებს მოუწიათ რეაქრედიტაცია.

საბჭოს მოწვეულმა წევრმა, ხათუნა ზალდასტანიშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მიმართა კითხვით, თუ რა ბაზები და მიმართულებები ჰქონდა უნივერსიტეტს კლინიკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა შორენა ჭუმბურიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებობდა შინაგან სნეულებათა, კარდიოლოგიის, გასტროენტეროლოგიის, კარდიოლოგიის, ოფთალმოლოგიის კლინიკური განყოფილებები. ასევე, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს ძლიერი ონკოლოგიური მიმართულება, რომელიც შექმნილია ძველი აბელოფის კლინიკის ბაზაზე, ასევე, მალე იგეგმება ინტერვენციული კარდიოლოგიის ბაზის გახსნა, ასევე უნივერსიტეტში არის ნევროლოგიის განყოფილება, არსებობს მაღალი ხარისხის ლაბორატორია ნევროლოგიის მიმართულებით და ასევე, მალე იგეგმება ნეიროქირურგიის მიმართულებით განყოფილების გახსნა.

ხათუნა საგანელიძემ აღნიშნა, რომ რეფორმების პროცესი გრძელდებოდა. რაც შეეხება, დერმატოლოგია-ვენეროლოგიის მიმართულებით კლინიკურ ბაზას, ეს ერთი ბაზა იყო ზოგადად, სამწუხაროდ ქვეყანაში, ხოლო მეან-გინეკოლოგიის, ოფთალმოლოგიის მიმართულებით კლინიკურ ბაზად გამოყენებული იყო ჩიჩუების კლინიკა, თუმცა თავადაც ჰქონდათ ამ მიმართულებების ცენტრები საუნივერსიტეტო კლინიკაში. ასევე, ქირურგიის მიმართულებით - ალექსანდრე ჩინჩალაძე იყო წამყვანი ექიმი. სტუდენტები პედიატრიას სწავლობდნენ ნიუ ჰოსპიტალის კლინიკურ ბაზაზე, ბაზისურ საგნებს სწავლობენ ცაიხის ლაბორატორიაში, ხოლო ცნობილი პროფესორებიდან მათ ასწავლიან ნანა ჯაფარიძე, და ნოდარ მითაგვარია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დავით კერესელიძემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა ჰქონდათ 5000 მოთხოვნილი თვითშეფასების ანგარიშით. ასევე, მედიცინის მიმართულებით 1800 იყო სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, თუმცა წელიწადში 300-ზე მეტი სტუდენტის მიღება არ ხდებოდა მედიცინის პროგრამაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა რესურსი ესწავლებინა ამ რაოდენობის სტუდენტებისთვის, მაგრამ უნივერსიტეტი არ გეგმავდა სტუდენტების რაოდენობის გაზრდას მედიცინის მიმართულებით.

ექსპერტმა მაია ბიჭვინაშვილმა აღნიშნა, რომ ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ სტუდენტების კონტინენტის გაზრდას არ გეგმავენ მედიცინის მიმართულებით. მისი ინფორმაციით, სტუდენტთა მთლიანი რაოდენობის გაზრდა იგეგმებოდა 1500-ით. მაგრამ აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ ცოტა რთული იქნებოდა იმის ვერფიკაცია და გაკონტროლება, რომ სტუდენტების მიღება მოხდებოდა რომელიმე სხვა მიმართულებით თუ მედიცინის მიმართულებით. აქედან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მაინც მიიჩნევდა, რომ გამომდინარე ამ ყველაფრიდან, რესურსების გათვალისწინებით შეუძლებელი იქნებოდა დაწესებულებას ესწავლებინა აღნიშნული რაოდენობის სტუდენტებისათვის.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 20:30 სათზე.
სხდომა განახლდა: 09:10 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებმა იმსჯელეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაზე, დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაზე, ასევე ზეპირ მოსმენაზე გამოვლენილ გარემოებებზე და დაწესებულებას მიმართავდნენ რჩევით, რომ სამომავლოდ უნივერსიტეტს შეემცირებინა მედიცინის პროგრამაზე სტუდენტების მიღება ადამიანური და მატერიალური რესურსების გათვალისწინებით. ასევე, საბჭოს გადაწყვეტილებით, მოცემულ ეტაპზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობა უნდა დარჩენილიყო უცვლელი - 3 000 ადგილი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 3 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 23

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 31-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 3000-ით.

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებაში მონიტორინგი განხორციელებულიყო 2 წლის ვადაში, რა დროსაც უნდა მომხდარიყო რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხის გადამოწმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა კახი ყურაშვილმა განაცხადა, რომ საბჭოს გადაწყვეტილება მისი მოსაზრებით, იყო დაუსაბუთებელი და დაწესებულებას მას დადგენილი წესის შესაბამისად გაასაჩივრებდა.

2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ნათია წიკლაშვილმა შეაჯამა სსიპ — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში. დაწესებულებამ ავტორიზაცია 1 წლის წინ მოიპოვა. მან განაცხადა, რომ თითოეული რეკომენდაცია, რომელიც გაცემული იყო საბჭოსა და ექსპერტების მიერ იყო შესრულებული. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავდა, რომ რეკომენდაციებზე მუშაობა დამთავრებული იყო, შესაბამისად, დაწესებულება აგრძელებდა განვითარებას და მუშაობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა უფრო მეტი რეკომენდაცია შეეხებოდა მეექვსე სტანდარტს, კონკრეტულად, მეცნიერებასა და კვლევას. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემა საქართველოს უმაღლესი განათლების თითქმის ყველა დაწესებულებას გააჩნდა და არც ეს უნივერსიტეტი იყო გამონაკლისი, თუმცა, მათი მცდელობა იყო, რომ მაქსიმალურად ყოფილიყო მდგომარეობა გამოსწორებული. 6.1 სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა კვლევების პოლიტიკა, რომელშიც გაწერილი იყო ყველა ის აქტივობა, რომელიც ემსახურებოდა პროფესორების კვლევითი საქმიანობის გაზრდასა და წახალისებას. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა მომხდარიყო გაწეული კვლევითი საქმიანობის შეფასება, პერსონალის მიერ საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობის გაზრდა, მან აღნიშნა, რომ აუცილებელი იყო პატენტების და გამოგონებების რეალიზება, პერსონალის აქტიურად ჩართვასაერთაშორისო გრანტებში, და დოქტორანტებისა და მაგისტრანტების რაოდენობის გაზრდა. ამ პროცესების პარალელურად იქმნებოდა კვლევების ხელშეწყობის მექანიზმები, მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში მაქსიმალურად ცდილობდნენ ექსპერტების შეფასებების ობიექტურად განხილვას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაორმაგდა გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობა აკადემიური საბჭოს დადგენილების შესაბამისად შემუშავებულ იქნა კვლევის ხელშეწყობის მექანიზმები. ასევე, წელს დაწესებულებაში ჩატარდა კონკურსი აკადემიური პერსონალის მიღების მიზნით, სადაც საკონკურსო მოთხოვნები გამკაცრდა და პერსონალს მოეთხოვებოდათ, რომ თუნდაც ერთი სტატია ქონოდათ გამოქვეყნებული web of science-ის, ერიხის ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებებით, მხოლოდ ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში ხდებოდა მათი გადაყვანა მეორე ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა პროფესორების მონაწილეობას საერთაშორისო კონფერენციებსა და სემინარებში, ასევე, ნაშრომების გამოქვეყნებას საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში და, რომ ეს სტანდარტი ხელს შეუწყობდა კვლევითი ხარისხის ამაღლებას.

საბჭოს წევრმა, ლევან იმნაიშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, თუ რამდენად შეეძლო დაწესებულებას წინ წასვლა და პატენტის კომერციალიზაციის ხელშეწყობა. იგი ასევე, დაინტერესდა თუ რამდენი პროცენტი იყო ბიუჯეტიდან სამეცნიერო საქმიანობაზე გამოყოფილი.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიუჯეტის 5% იყო გამოყოფილი სამეცნიერო საქმიანობაზე. გარდა ამისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მიერ გამოყოფილი თანხები სრულად ეძღვნებოდა ტექნოლოგიურ განახლებასა და რემონტს, შენდებოდა ახალი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ქობულეთში. ასევე, არსებობდა ფიტოპათოლოგიისა და ბიომრავალფეროვნების კვლევითი ინსტიტუტი, ასევე, კვლევითი ინსტიტუტი ჰუმანიტარული მიმართულებით — ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა მთლიანობაში ჩამოყალიბდა და გაიწერა ყველა იმ მიმართულებით, რომელიც წარმოდგენილი იყო.

უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი ერასმუს+ -ის პროგრამებში მონაწილეობის მიხედვით საქართველოში მესამე ადგილზე იყო. ასევე, ორი საერთო სამაგისტრო პროგრამა იწყებდა მუშაობას - ტრანსლატოლოგიის და არქეოლოგიის მიმართულებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა ირაკლი კორძაიამ აღნიშნა, რომ PBL-ისა და CBL-ის სწალების მეთოდებს აქტიურად იყენებენ მედიცინის ფაკულტეტზე, მან აღნიშნა, რომ მედიცინის პროგრამას 2020 წელს ეწურებოდა აკრედიტაციის ვადა და რომ შესაბამისად მოხდებოდა მისი მორგება ახალ დარგობრივ მახასიათებლებზე.

საბჭოს წევრმა, გიორგი აბრამიშვილმა კითხვით მიმართა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რამდენად ხდებოდა პერსონალის აკადემიური საქმიანობის და პროდუქტიულობის შეფასება, როგორც ელექტრონული კითხვარების, ასევე, კოლეგების ერთმანეთის ლექციაზე დასრების მეთოდით. ირაკლი კორძაიამ განაცხადა, რომ მუდმივ რეჟიმში ხდებოდა პერსონალის საქმიანობის შეფასება. დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია წიკლაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნის მიხედვით, რეკომენდებული იყო პერსონალის მართვის და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარება, ასევე, პერსონალის ინგლისური ენის ცოდნის გაზრდა. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდებოდა თანადაფინანსებული პროგრამა, ინგლისური ენის კომპეტენციის ასამაღლებლად. ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა შიდა ფინანსური აუდიტის სამსახური და ასევე, მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები აუდიტის შესახებ ტენდერის გამოცხადების თაობაზე. ასევე, მოხდა წიგნების ელექტრონული ფორმატით შენახვა, უნივერსიტეტში უზრუნველყოფილი იყო საერთაშორისო ბაზებთან წვდომა. ასევე, გრძელდებოდა ახალი ლიტერატურის შეძენა და განახლება. ეტაპობრივად ხდებოდა სტუდენტების დატრენინგება, არსებული ბაზების გამოყენების შესახებ. საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ უნივერსიტეტის წარმომადგენლებს ურჩია გამოიყენონ ის რესურსი, რომელიც მათ ქალაქში საკონტაქტუციო სასამართლოს სახით არსებობს; ამ რესურსის გამოყენება შესაძლოა გამოიხატოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პროფესორებად მოწვევითა და ამ გზით და სამართლის პროგრამის გაძლიერებით.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს რჩევის სახით მიმართა, რომ ტელეკომუნიკაციის და კომპუტინგის ცალცალკე სწავლება უკვე მოძველებული იყო, მან აღნიშნა, რომ ამ ორი დარგის დარგი სხვადასხვა ფაკულტეტზე სწავლება ცოტა წარმოუდგენელი იყო, რადგან თანამედროვე ტელეკომუნიკაცია კომპიუტერული მეცნიერებების გარეშე არ არსებობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ სურდათ რაიმის დამატება. წარმომადგენლება დაადასტურეს, რომ ამოწურეს ყველა საკითხი და დასამატებელი არაფერი იყო. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე-10

წინააღმდეგი-0


გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 25-ე მუხლის 6¹ პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 22:00 საათზე.

თავმჯდომარე:

მარიამ დარბაიძე



მდივანი:

ნინო ხოლუაშვილი

